# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 1 ივლისი. 2016 წ. №121 (8013), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

# ის ჩვენი თვალის ასახელლად ეწამა!

## სულხან მოლაშვილის სიკვდილმა წარბიც არ შეუხარათ მკვლელ ნაციონალებს და იმათ ბუკ-ნაღარას ცნობადაც არ გადმოუცია ეს საშინელი ამბავი



„რუსთავი-2“-მა, რომელიც თავსა სდებს ობიექტურობაზე, არც 29 ივნისს, ოთხშაბათს და არც 30 ივნისს, ხუთშაბათს, სიტყვა არ დაძრა ნაციონალთა ტერორიზმის მსხვერპლზე, საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეზე **სულხან მოლაშვილზე,** რომელიც კაციჭამია ნაციონალთაგან უსასტიკესად ნაწამები 29 ივნისს დილით პარიზში გარდაიცვალა ოპერაციის დროს. წამებისას გულ-მუცელჩანგრეულს დიდმა ევროპელმა სპეციალისტებმაც ველარ უშველეს... სამაგიეროდ, ნანუკამ მთელი თავისი ოთხშაბათის შოუ თავისი არხის ცრუ დირექტორ გვარამიას ძალით გასახელოვნებას მიუძღვნა და ერთგვარ გმირადაც კი გამოიყვანა ეს უკვე მეტისმეტად თავგასული ნაციონალური ჯოჯოხეთის მაშხალა.

სააკაშვილის, ბოკერიას და ადეიშვილის მიერ ქვეყანაში გამეფებულმა უკანონობამ ნაადრევად მოუსპო სიცოცხლე 47 წლის ქართველ ვაჟკაცს, რომელსაც კიდევ ბევრი სიკეთის ქმნა შეეძლო თავისი არცთუ მთლად თავისუფალი და დამოუკიდებელი სამშობლოსთვის.

და განა მარტო ამ ერთს მოუსწრაფეს სიცოცხლე?! ნაციონალთაგან ჯალათურად დაღუპულთა რიცხვი ლეგიონია!

პასუხი კი დღემდე არ უგია არც ქვეყნისა და ხალხის წინაშე ათას ცოდვააკიდებულ სააკაშვილს, არც ბოკერიას და არც ადეიშვილს.

პირიქით, იმის იმედით, რომ ხალხს უკვე აღარ ახსოვს გარდასული უმძიმესი ათწლეული, ნაციონალები გველის ხვრელში ძვრებიან, რათა კვლავ მოატყუონ გულუბრყვილო, მიამიტი ადამიანები და ბოროტ გულზე სისხლიან მჯიღს იტყაპუნებენ, ჩვენ, უკვე სასიკეთოდ გარდაქმნილნი, ხელისუფლებაში კვლავ მოსვლისთანავე აგაყვავებთ და გაგაბედნიერებთო.

და ამ დროს გაზაფხულის ჭექაქუხილივით გაისმის ნაციონალთაგან ტანჯული გირგვლიანის, მოლაშვილის, რობაქიძის, გამცემლიძის, მამა-შვილ ვაზაგაშვილების და სხვა უამრავი ულვთოდ ჩაცხრილული მართალი ადამიანის ხმა:

**— არ დაუჯეროთ!**
**არ დაუჯეროთ!**
**არ დაუჯეროთ!**
**აღარ მოტყუვდეთ! გველი გველობას არ მოიშლის და მგელი ბატკნად ვერ გადაიქცევა!**
**ხმა მივცეთ კი არა, მაგათ საერთოდ უნდა აეკრძალოთ 2016 წლის არჩევნებში მონაწილეობა და ერთხელ და სამუდამოდ ჩამოერთვათ პოლიტიკური არსებობის უფლება!**

ჩვენ ნამდვილად თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული სამშობლო გვინდა და არა ამა თუ იმ უცხო ძალების მიერ დაქირავებული, საკუთარ კეთილდღეობაზე გადაგებული არაქართული სულისკვეთების რომელიმე პოლიტიკური პარტიის ოთხწლიანი ავი მეხრეობა.



*აქვე გთავაზობთ შუმი ნაციონალის, თავისი თანახროველებივით სინდის-ნამუსისგან დაცლილი ნამინისტრალის ნიკა რურუას ჯალათურ მოსაზრებას:*

**— ჩვენი ხელისუფლების დროს საქართველოში პოლიტპატიმრები არ იყვნენ, ჩვენ პოლიტპატიმრები არ გვყავდა. პოლიტპატიმარი ეს კაცი ვერ იქნება იმიტომ, რომ ის არ იყო პოლიტიკოსი. ის ჩინოვნიკურ დანაშაულში, რამდენადაც ვიცი, ქრთამის საკითხზე იყო დაკავებული. დიდი პიარკამპანია აგორდა, წამება, ისა, ესა... რაც მე ტყუილი მგონია. მე არ მინახავს მისი ნაწამები კადრები და დარწმუნებული ვარ, ის ნაწამები არ იყო. ეს მითოლოგიაა და ასე იოლად ნუ იჯერებთ. შეიძლება პროცედურული ნორმები იყო დარღვეული და დიდი შანსია, რომ მან პროცესი ამიტომ მოიგო. რომელი პოლიტიკური პატიმარი იყო ის, პოლიტიკური რწმენისთვის იჯდა მოლაშვილი?** — უსირცხვილოდ აცხადებს რურუა.

## პარლამენტში რა გინდოდა, თუ დასწრება არ გინდოდა?! 4



## ქართული ეკონომიკური მოდელი

სანამ გაგრძელდება ასე და გადავურჩებით „ლომკას?“ 3

## „სამედიცინო ტურიზმი“, როგორც სატყუარა 5



**ხშირად რატომ ვენდობით ბრმად უცხოელსა და უცხოურს და რად ვამჯობინებთ სხვის კარგს ჩვენს გაცილებით უკეთესს?!**

## აიკრა გუდა-ნაბადი და... წავიდა

ისრაელის გაკვეთილები საქართველოსთვის 7

## „პარალელური“ ფიქრები რობერტ სტურუას ახალ სპექტაკლზე

გამოგიტყდებით და მეგონა... 6



# „საქართველოს ევროპული გზა“

**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გერმანიაში ვიზიტის ფარგლებში კონრად ადენაუერის ფონდში სიტყვით გამოვიდა.**

ქვეყნის პირველმა პირმა „საქართველოს ევროპული გზის“ შესახებ ისაუბრა და მოწვეული სტუმრების შეკითხვებს უპასუხა.

კითხვები ძირითადად საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესს, საქართველოს ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციას, საქართველო- რუსეთის ურთიერთობებს, აფხაზეთის რეფერენდუმს, ბრიტანეთის გადაწყვეტილებას, რეგიონში შექმნილ ვითარებას და საქართველოში მიმდინარე პროცესებს ეხებოდა.

* * *

**საქართველოს პრეზიდენტი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ბუნდესტაგის პრეზიდენტს ნორბერტ ლამერტს შეხვდა.**



შეხვედრისას საუბარი შეეხო ქვეყნებს შორის არსებულ ორმხრივ ურთიერთობებს, ასევე საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებს.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქვეყნებს შორის საპარლამენტო თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერდება. საქართველოსა და გერმანიის დელეგაციამ რეგიონში არსებულ ვითარებაზეც იმსჯელა. საქართველოს პრეზიდენტმა ბუნდესტაგის პრეზიდენტს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება გააცნო.

გიორგი მარგველაშვილმა გერმანულ მხარეს მადლობა გადაუხადა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერისათვის, ასევე ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერისათვის.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ გერმანია იყო და რჩება საქართველოს მტკიცე მხარდამჭერად მის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესებში.

კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საქართველოს შესრულებული აქვს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და ელოდება პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომელიც ევროკავშირის ყველა ქვეყანამ უნდა მიიღოს.

საუბარი ასევე შეეხო ნატოს მომავალ ვარშავის სამიტს, საქართველოს ალიანსში ინტეგრაციის პროცესს და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. მხარეებმა ევროპაში არსებულ სირთულეებზეც იმსჯელეს.

# ოპერატიულად დავეხმაროთ აჭარას!

**მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრი აჭარაში სტიქიის შედეგების აღმოფხვრის სამუშაოების მიმდინარეობით დაინტერესდა.**

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ნოდარ ჯავახიშვილის განმარტებით, ინტენსიური წვიმების შედეგად დაზარალდა ქედა და შუახევი.

„ორი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქედის მუნიციპალიტეტში, მერესის ხეობაში, სამი ხიდი მთლიანად წაღებულია, ორს ბურჯები აქვს გამოცლილი. ჩავთვალოთ, რომ ხუთი ხიდი არის თავიდან გასაკეთებელი. ხიდების აღდგენას დრო დასჭირდება. უფრო ცუდი მდგომარეობაა შუახევში, იქ ოთხი ხიდია წაღებული და ოთხი სოფელია მოწყვეტილი გარე სამყაროს. შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მაღალი გავლადობის მანქანებისთვის შემოვლითი გზა არის. ამ ოთხი ხიდიდან ერთია მნიშვნელოვანი, რომელიც აღგვადგენინებს სრულყოფილ კავშირს მოსახლეობასთან, სამუშაოები უკვე დაწყებულია, აჭარა თავისი ძალებით აკეთებს, ჩვენ საინჟინრო დახმარებას ვუწევთ. ასევე მათ სჭირდებათ რკინიგზიდან ვაგონების ძარები ხიდისთვის“, — აღნიშნა ნოდარ ჯავახიშვილმა.



პრემიერ-მინისტრმა ეკონომიკის მინისტრს დაავალა, აჭარის რეგიონს ამ მხრივ დახმარება გაუწიოს.

„კარგია, რომ ადამიანური მსხვერპლი არ გვაქვს, ეს არის ყველაზე მთავარი. თუ არის კომუნიკაცია საჭირო ან პროდუქტის, წყლის მისაწოდებლად, ყველა ამ მიმართულებით ჩავერთოთ, გავიაროთ ეს საკითხები. მინდა, ფინანსთა სამინისტროდან გიორგი თაბუაშვილს ვთხოვო, რომ დამატებითი რესურსი, რაც იქნება საჭირო, მოვიძიოთ, რათა მაქსიმალურად მოკლე დროში აღმოვფხვრათ ეს შედეგები. რაც ვნახე კადრები, კატასტროფული მდგომარეობაა“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ინფრასტრუქტურის მინისტრმა მთავრობის წევრებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია დევდორაკის ხეობაში გაწეული სამუშაოების შესახებ. ნოდარ ჯავახიშვილის განმარტებით, თუ ამინდი ხელს არ შეუშლის მიმდინარე სამუშაოებს, დევდორაკის ხეობაში გზა 2 კვირაში გაიხსნება, თუმცა მინისტრი მიიჩნევს, რომ საჭიროა სხვა სერიოზული საინჟინრო გადაწყვეტილების მიღება.

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ამ დროისთვის გამონახულია ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალება.

# ყურძენი ჩაიბარეს, ფული დღემდე არ გადაუხდიათ!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის მინისტრს დაავალა, დროულად გაირკვეს საკითხი, თუ რატომ არ მივიდა მევენახეების მიერ გასულ წელს ჩაბარებული ყურძნის ფული ადრესატებამდე.**

გიორგი კვირიკაშვილმა მომხდარს ამაზრზენი ფაქტი უწოდა და საკითხის სწრაფად გამოძიება მოითხოვა.

**„ჩემამდე მოვიდა ინფორმაცია, რომ საგარეჯოში შარშანდელი ჩანაბარები ყურძნის თანხა მიითვისა რომელიღაც ბიზნესმენმა და თანხა არ არის მისული მევენახემდე. მინდა, სოფლის მეურნეობის მინისტრს ვთხოვო, ეს საკითხი მაქსიმალურად მოიკვლიოთ და თუ საჭირო იქნება ჩავრთოთ შესაბამისი უწყებები. ის, რომ სახელმწიფო საკმაოდ დეფიციტური რესურსის გამონახვას ახერხებს, დავასუბსიდიროთ ყურძნის ჩაბარება, არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ვიღაცამ ბოროტად ისარგებლოს ამით. გთხოვთ, მაქსიმალურად მოკლე დროში გამოვიძიოთ ეს საკითხი და თუ საჭირო იქნება, სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ჩართულობა არის განხილვადი,“** — განაცხადა პრემიერმა.

სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას ინფორმაციით, დაზარალებულია სხვადასხვა სოფლის მცხოვრები 50-ზე მეტი მევენახე. საქმე კი მათ ანაზღაურებას 200 000 ლარზე მეტ თანხას ეხება.

# ახალი საბავშვო ბაღები თბილისს შემოერთებულ სოფლებში

მერიის ინფორმაციით, თბილისს შემოერთებულ სოფელში წინუბანში საბავშვო ბაღი 1999 წელს დაიხურა და იმ დროიდან ადგილობრივებს ბავშვების ტარება რამდენიმე კილომეტრის მოშორებით დიდი ლილოს ბაღსა და ნასაგურის დასახლებაში უწევდათ.

აღდგენა-რეკონსტრუქციის პროცესს თბილისის მერი დავით ნარმანია ადგილზე გაეცნო და მოსახლეობას გაესაუბრა.

„ამ დასახლებას, თითქმის, 20 წელია, საბავშვო ბაღის პრობლემა აქვს, ბაღი იყო დახურული და, შესაბამისად, ვაგვარებთ ამ პრობლემას - აღვადგენთ 350 ბავშვზე გათვლილ ბაღს, რომელიც აღჭურვილი იქნება ისე, რომ სრულად უპასუხებს თანამედროვე სტანდარტებს, ისევე როგორც ყველა ახლად აშენებული და ჩვენს მიერ აღდგენილი ბაღი. წლის ბოლომდე დავასრულებთ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებს, იანვარში აღიჭურვება შენობა, ახალი სეზონის დასაწყისში კი გავხსნით ამ საბავშვო ბაღს და, შესაბამისად, წინუბნის დასახლებას მთლიანად მოვუგვარებთ საბავშვო ბაღთან დაკავშირებულ პრობლემას,“ — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.



მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით,ავარიული შენობის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროცესი ორი თვის წინ დაიწყო და გეგმის თანახმად წლის ბოლომდე დასრულდება.

საბავშვო ბაღში 10 ჯგუფი გაიხსნება, მათ შორის, ორი — ბაგა.

გარდა წინუბნის ბაღის აღდგენისა, თბილისთან შემოერთებულ კიდევ ორ ტერიტორიაზე — სოფელ გლდანსა და სოფელ დიღომში წელს ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა დაიწყება.

ტრანსპორტი

# „მეტრო“ კილომეტრებს აიაფებს

## თურქული კომპანიის შემოსვლამ საქალაქთაშორისო ტრანსპორტზე ფასები შეამცირა




**2 წლის წინათ საქართველოში შემოსულმა თურქულმა კომპანია „მეტრომ“ არაბრენდირებული საქალაქთაშორისო ტრანსპორტის ფასების შემცირება გამოიწვია. როგორც „კომერსანტს“ კომპანია „მეტროში“ განუცხადეს, 2014 წლის ოქტომბერში „მეტროს“ გამოჩენის შემდეგ ფასი საშუალოდ ათი ლარით შემცირდა.**

კომპანიის მენეჯერი ლაშა კენჭაძე ამბობს, რომ დღეს არაბრენდირებულ მინივენებსა და სამარშრუტო ტაქსებს მგზავრები 20-25 ლარის ნაცვლად 10-15 ლარადაც გადაჰყავთ.

თავის დროზე საქართველოში თურქული კომპანიის შვილობილის გამოჩენას მძღოლების მხრიდან უკმაყოფილება და საპროტესტო აქციები მოჰყვა. თავდაპირველად „მეტროს“ შემოსვლა თბილისი-ბათუმის ხაზის სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა გააპროტესტეს, შემდეგ — თბილისი-ზუგდიდის სამარშრუტო ტაქსებისა. საპროტესტო აქციების მონაწილეები აცხადებდნენ, რომ „მეტროს“ ბაზარზე მონოპოლიის მოპოვება და სხვა ხაზების გაკოტრება სურდა. მძღოლების წინააღმდეგობის მიუხედავად, კომპანია როგორც ბათუმის, ასევე ზუგდიდის ხაზზე დარჩა.

კითხვაზე, ბაზრის რა ნაწილი უჭირავს საქალაქთაშორისო გადაყვანაში დღეს „მეტროს“, კომპანიის მენეჯერი ამბობს, რომ სტატისტიკა ნამდვილად არა აქვთ, თუმცა, ვერ იტყვიან, რომ მათზე ბაზრის 70% მოდის.

„ამის მიზეზი ისაა, რომ **ადამიანებს, რომლებსაც სურთ კომფორტი, მაგრამ არა აქვთ შესაძლებლობა, მგზავრობენ სხვა ხაზის მანქანებით, სადაც კომფორტი და, შესაბამისად, ფასი ნაკლებია**“, — აცხადებს ლაშა კენჭაძე.

რაც შეეხება კონკურენციას და არაბრენდირებული საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მძღოლების უკმაყოფილებას „მეტროს“ შემოსვლასთან დაკავშირებით, კომპანიის მენეჯერი პასუხობს, რომ „მეტრო“ არავის უშლის ოპერირებას და ისევე თავისუფლად მუშაობს ბაზარზე, როგორც სხვა კომპანიები.

„უკმაყოფილება ყოველთვის იქნება, როდესაც კონკურენციაა. ჩვენ არავისთვის არაფერი დაგვიშლია, თავისუფლად ვმუშაობთ, როგორც სხვა. ორიენტირებული ვართ კომფორტზე, სერვისსა და უსაფრთხოებაზე. ჩვენ არავის ვუშლით მუშაობს“, — აცხადებს კომპანიის მენეჯერი.

**სალომე მეცხვარიშვილი**

# ქართული ეკონომიკური მოდელი

## სანამ გაგრძელდება ასე და გადავურჩებით „ლომკას?“

**გლობალიზაციის პროცესის მთავარი არსი, უეჭველად არის ერთიანი ეკონომიკური წესების დამკვიდრება მთელ მსოფლიოში. ამის მიუხედავად, რჩება მნიშვნელოვანი განსხვავება სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკურ მოდელებს შორის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გლობალიზაცია სრულიადაც არ აუქმებს კონკურენტულ ბრძოლას სახელმწიფოებს შორის. უბრალოდ, ეს ბრძოლა მიმდინარეობს ახალ პირობებში და ახალი წესებით. კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად ამ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს ეფექტური ეკონომიკური მოდელის არსებობას.**

### რა არის ეკონომიკური მოდელი

**ეკონომიკურ მოდელში ჩვენ ვგულისხმობთ ქვეყნის ეკონომიკურ კანონმდებლობას და რეგულირების თავისებურებებს, ისტორიულად ჩამოყალიბებულ სტრუქტურას ეკონომიკისა და საგადამხდელო ბალანსისა, სახელმწიფოს როლს ეკონომიკაში, სოციალური სოლიდარობის მასშტაბს და ფორმებს, საზოგადოებაში დამკვიდრებულ ურთიერთობათა ფორმებს და ა.შ.**

როგორც ვხედავთ, ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს როგორც ფაქტორები, რომელთა შეფასებაც შეიძლება რაოდენობრივად (ქვეყნის ზომები, დენოგრაფიული სიტუაცია, ბუნებრივი სიმდიდრეები, გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური მდებარეობა და ა.შ.), ისე ფაქტორები, რომელთა შეფასებაც რაოდენობრივად და ობიექტურად რთულია (ეროვნული და რელიგიური ტრადიციები, საზოგადოებაში დამკვიდრებული ფასეულობების სკალა და ურთიერთობები, განათლების დონე, ეთიკური ნორმები და ა.შ.). ამასთანავე, სუბიექტური ფაქტორები, შესაძლოა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყოს ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბებაში.

**ყოველივე ზემოთ თქმული შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მოკლედ. თქვენ გაქვთ ისეთივე ეკონომიკა, როგორიცაა თქვენი ეკონომიკური მოდელი, რომელსაც ირჩევთ თქვენ თვითონ. თუ თქვენ ხართ ცუდი (უმეცარი, ამორალური, სასტიკი და ა.შ.) თქვენი ეკონომიკური მოდელი იქნება ცუდი, შესაბამისად, გექნებათ ცუდი ეკონომიკა, რომელიც თქვენ გაგხდით კიდევ უფრო ცუდს და ასე შემდეგ უსასრულოდ.**

### ქართული ეკონომიკური მოდელის თავისებურებები

**ცალკე დიდი საუბრის საგანია, როგორ ჩამოყალიბდა თანამედროვე ქართული ეკონომიკური მოდელი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართული ეკონომიკის მდგომარეობას, შეიძლება, დარწმუნებით ვთქვათ, რომ ჩვენი ეკონომიკური მოდელი არის ცუდი.**

> **და ასე ვცხოვრობთ, და შენ წუხარ, შენ მხოლოდ წუხარ, ხოლო შეცვლა კი არ ძალგიძს ამის.**
>
> **ოკურა** (იაპონელი პოეტი)

ეს, თავის მხრივ, არცთუ ისე კარგად გვახასიათებს ქართველებს. ამიტომ ჩემთვის ძალიან გასაკვირია ხშირად გამოთქმული მოსაზრება, რომ ჩვენ გვაქვს კარგი ეკონომიკა (იგულისხმება ეკონომიკური მოდელი), რომ ჩვენ ვატარებთ კარგ ეკონომიკურ პოლიტიკას, მაგრამ გვაქვს ღარიბი ქვეყანა. ასე არ ხდება. სახარება გვეუბნება, რომ ხე შეიცნობა მისი ნაყოფით. არ არის საჭირო იყო ქრისტიანი, რომ დაეთანხმო ამ ჭეშმარიტებას. თუ ჩვენ მეოთხედი საუკუნეა გვაქვს ეს ეკონომიკური მოდელი და ვატარებთ ამ ეკონომიკურ პოლიტიკას, ხოლო შედეგად გვაქვს ისეთი ეკონომიკა, როგორიც გვაქვს, იქნებ დროა დავფიქრდეთ ამაზე?. ამერიკელებისთვის საკმარისი აღმოჩნდა დიდი დეპრესიის ოთხი წელი, რათა მათ სრულიად გადაესინჯათ საკუთარი ეკონომიკური პარადიგმა და განეხორციელებინათ რევოლუციური ცვლილებები საკუთარ ეკონომიკაში.

ქართული ეკონომიკური მოდელის მთავარი მახასიათებელი არის იმპორტის სრული დომინირება და, შესაბამისად, საგარეო ვაჭრობის უზარმაზარი უარყოფითი სალდო, რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ქვეყნის ფინანსურ სისტემაზე. იმპორტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან მიახლოებულია 50 პროცენტთან, რაც ჩვენ შემთხვევაში ნიშნავს ქვეყნისა და მისი ეკონომიკის სრულ დამოკიდებულებას იმპორტზე. აქვე აღვნიშნავ, რომ არსებობენ განვითარებული ქვეყნები (ჰოლანდია, სინგაპური), რომლებიც გამოირჩევიან იმპორტის ასეთი მაღალი დონით, მაგრამ ეს განპირობებულია დიდი რეექსპორტით.




ეკონომიკის ასეთი სტრუქტურა უკვე განაპირობებს ქართული ეკონომიკის რაიმე მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობას, ამიტომ დიდი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ჩვენ შევძლებთ გავიდეთ ზრდის მაღალ და სტაბილურ მაჩვენებლებზე, თუ ვერ შევძლებთ ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას.

ამის გაკეთება კი იქნება ძალიან რთული, რადგან საიმპორტო ბიზნესს აქვს უაღრესად ძლიერი პოზიციები ქვეყანაში და ის ფაქტობრივად განსაზღვრავს ქართული ეკონომიკური მოდელის თავისებურებებს. ამ ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია უაღრესად დაბალი საბაჟო ტარიფები. ის არ არის დაინტერესებული ქვეყნის სამრეწველო განვითარებით და მისთვის სავსებით მისაღებია დემპინგური პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს ზოგიერთი ქვეყანა საქართველოს მიმართ. ეს ბიზნესი არ არის დაინტერესებული მაღალკვალიფიციური კადრებით და მას სავსებით აწყობს სიტუაცია, რომელიც შექმნილია საქართველოში შრომის ბაზარზე.

ამ ბიზნესისათვის მნიშვნელოვანია ლარის სტაბილური კურსი, მაგრამ სუსტად განვითარებული ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის გიგანტური დეფიციტის პირობებში ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ფულადი მასის მკვეთრი შეკუმშვით, რაც იწვევს კრედიტის გაძვირებას და ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალ მასშტაბებს. კიდევ ერთი პრობლემაა საგარეო ვალდებულებების ზრდა, რომელიც აუცილებელია იმპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის საარსებოდ. აქ საუბარია არა მხოლოდ სახელმწიფო ვალდებულებებზე. ქართული ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანესია ის კრედიტები, რომელსაც მოიზიდავენ ქართული ბანკები საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან. ფაქტიბრივად, საქართველო არსებობს კრედიტებით. საუბარიც ზედმეტია იმაზე, თუ რამდენად სახიფათოა ეს ჩვენთვის და რომ ასე არ შეიძლება გაგრძელდეს დიდხანს.

**კიდევ ერთ დიდი პრობლემაა ის, რომ ჩვენ უკვე შევეჩვიეთ ამ ვითარებას. ცვლილებების განხორციელება იქნება მტკივნეული. ქართული ეკონომიკა წააგავს ნარკომანს, რომელსაც სჭირდება ფინანსების ახალ-ახალი დოზა, რათა შეინარჩუნოს ცხოვრების ჩვეული წესი. გასაგებია, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება და „ლომკა“ გარდაუვალია.**

### საქართველოს სჭირდება ახალი ეკონომიკური მოდელი

**როგორი უნდა იყოს ახალი ეკონომიკური მოდელი? ეს კიდევ ერთი ცალკე დიდი საუბრის თემაა. აქ მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ის უნდა იყოს აუცილებლად ორიენტირებული ეკონომიკის ზრდაზე და უმუშევრობის შემცირებაზე. როგორი მწვავეც არ არის სოციალური პრობლემები დღეს, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ქვეყანას აქვს ძალიან მწირე რესურსები და ის მიმართული უნდა იყოს მხოლოდ ერთი მიმართულებით.**

უწინარესად, ჩვენ უნდა ვიყოთ უაღრესად კრეატიულები. არასოდეს მესმოდა ის აღტაცება, რომელსაც ჩვენთან იწვევს რაიმე უცხო მოდელის გადმოღება, ხშირ შემთხვევაში უსისტემოდ და გაუზრებლად. **წარჩინებული მოსწავლე ვერ გახდება გადაწერით.** ყველა ქვეყანა, რომელმაც მიაღწია ეკონომიკურ წარმატებას, მიდიოდა საკუთარი ორიგინალური გზით. სამაგიეროდ, ყველა წარუმატებელი ქვეყანა ძალიან წააგავს ერთმანეთს, ისევე როგორც მათი მთავრობების მოქმედებები.

ეს ყოველივე არ ნიშნავს, რომ არ უნდა გავიზიაროთ უცხოური გამოცდილება, მაგრამ ეს უნდა მოხდეს გააზრებულად. ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების ისტორია. იქ შეიძლება ვიპოვოთ ძალიან ბევრი ჭკუის სასწავლი. აქ შევჩერდები მხოლოდ ერთზე. აზიური ქვეყნების გამოცდილება (იაპონია, სამხრეთ კორეა, სინგაპური, ჩინეთი), ქვეყნებისა, რომლებმაც მიაღწიეს დიდ ეკონომიკურ წარმატებას, გვასწავლის, რომ სახელმწიფომ უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი, განსაკუთრებით ეკონომიკის მოდერნიზაციის საწყის ეტაპზე. **„ჩვენ რომ დაველოდებოდით, როდის ისწავლიდნენ ჩვენი ვაჭრები, გამხდარიყვნენ მრეწველები, შიმშილით ამოგვხდებოდა სული“** — თქვა ლი კუან ემ.

შეძლებს თუ არა ჩვენი მთავრობა მიაღწიოს მნიშვნელოვან წარმატებებს ამ მიმართულებით? პრემიერ-მინისტრი და ეკონომიკური გუნდის სხვა წევრები იწვევენ პატივისცემას, როგორც განათლებული და წესიერი ადამიანები, რომლებიც ძალიან ცდილობენ ქვეყნის განვითარებას და ისინი აკეთებენ გარკვეულ ნაბიჯებს სწორი მიმართულებით, თუმცა მთლიანობაში ისინი, სამწუხაროდ, რჩებიან ძველი ეკონომიკური პარადიგმის ტყვეობაში.

**ეს კიდევ უფრო სამწუხაროა იმის გამო, რომ მე ვერ ვხედავ რომელიმე ძალას, რომელიც იქნებოდა არსებულ მთავრობაზე უფრო ეფექტური.**

**გია ნიკოლეიშვილი**

# საქართველოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვევა



**დღეს, 1 ივლისს საქართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვევა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართება მიხეილ ჯანელიძის შეხვედრა გერმანელ კოლეგასთან, რის შემდეგაც მინისტრები ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ.

ვიზიტის ფარგლებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ- მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს. ვიზიტის ფარგლებში გაიმართება მრგვალი მაგიდა გერმანელი ბიზნესმენების, პირველი ვიცე-პრემიერის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილის მონაწილეობით. საქართველოში სამუშაო ვიზიტის პარალელურად ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი მონაწილეობას მიიღებს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის 25-ე ყოველწლიური სესიის გახსნის ცერემონიალში.

# საქართველოში ჯონ კერი ჩამოდის



**კერის ვიზიტი თბილისში 6 ივლისს დაიწყება. ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს ელჩი აშშ-ში არჩილ გეგეშიძე ავრცელებს.**

მისი ინფორმაციით, ვიზიტის დროს განხილული იქნება როგორც თანამშრომლობა თავდაცვის და უსაფრთხოების კუთხით, ასევე პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება.თბილისში ყოფნის დროს სახელმწიფო მდივანი გამართავს შეხვედრებს და ასევე პრემიერთან ერთად უხელმძღვანელებს ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის პლენარულ სხდომას.

# ომარ ნიშნიანიძემ „ქართული ოცნების“ დატოვება გადაიფიქრა



**ომარ ნიშნიანიძის განცხადებით, კენჭს „ქართული ოცნების“ სახელით ქუთაისის ერთ-ერთ ოლქში იყრის.**

**„ბევრ საკითხში ჩვენი ხედვები ემთხვეოდა, თუმცა გვქონდა განსხვავებული შეხედულებებიც. ამიტომ, ბუნებრივია, ვერ გადავდგი ასეთი ნაბიჯი და დავრჩი იქ, სადაც ვარ. მით უმეტეს, ბატონი ბიძინა ივანიშვილი გააქტიურდა. ბატონ ბიძინასთან ჩემი შეხვედრაც შედგა. ამ ყველაფერმა საბოლოოდ მიმაღებინა გადაწყვეტილება, რომ „ქართულ ოცნებაში“ არის ჩემი ადგილი და შემიძლია, ვიბრძოლო ამ გუნდში. მით უმეტეს, ვაპირებ ქუთაისში ერთ-ერთ ოლქში ვიყარო კენჭი „ქართული ოცნების“ სახელით“,** — განაცხადა ნიშნიანიძემ.

ომარ ნიშნიანიძემ ერთი თვის წინათ განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ დატოვებას და თამაზ მეჭიაურის გუნდის წევრობას აპირებდა. ნიშნიანიძე აცხადებდა, რომ პარტიის ყრილობამ და პოლიტსაბჭოს ახალმა წევრებმა იმედები გაუცრუა. ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ ნიშნიანიძემ გადაწყვეტილება შეცვალა.

**ქართველი პოლიტიკოსები პარლამენტის წევრობისთვის იბრძვიან, დეპუტატის სტატუსის მოპოვების შემდეგ კი, პლენარულ სხდომებს არ წყალობენ. მერვე მოწვევის პარლამენტის 150-კაციანი შემადგენლობიდან მხოლოდ ათი დეპუტატია ისეთი, რომელთაც 2016 წლის საგაზაფხულო სესიის 22 სხდომა არ გააცდინეს და კვორუმის შევსება კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენეს.**

**ვინაიდან, ამ მოწვევის პარლამენტის „აქილევსის ქუსლი“ კვორუმის პრობლემა იყო, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა რეგლამენტის გამკაცრება რამდენჯერმე დააანონსა, თუმცა, სპიკერის მუქარა მუქარად დარჩა და ოთხწლიანი საპარლამენტო ციკლი ისე დასრულდა, რომ სხდომების გაცდენისთვის „დასჯილი“ დეპუტატი სულ რამდენიმეა.**




# პარლამენტში რა გინდოდა, თუ დასწრება არ გინდოდა?!

ოთხი წლის მანძილზე დეპუტატები რეგლამენტში არსებული ჩანაწერით სარგებლობდნენ, სხდომების გაცდენისთვის „ოჯახურ მდგომარეობას“ მიუთითებდნენ და ხელფასს სრულად იღებდნენ. მართალია, პარლამენტში კვორუმის შევსების პოლიტიკური ვალდებულება უმრავლესობას აქვს, თუმცა, უმცირესობა შესაბამისი ბერკეტებით სარგებლობდა და რეგისტრაციას პოლიტიკური მიზნების შესაბამისად გადიოდა. იმის გამო, რომ „ქართული ოცნება“ კვორუმის შევსებაზე საგანგებოდ კონკრეტული სხდომის ჩატარებისთვის ზრუნავდა, მერვე მოწვევის პარლამენტში, კვორუმის არარსებობის გამო ბევრი სხდომა ჩაიშალა.

აღსანიშნავია, რომ პლენარული სხდომების გარდა, კვორუმის პრობლემა საკომიტეტო სხდომებზეც იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში, კომიტეტების აპარატებმა პრობლემიდან გამოსვლის მარტივი ხერხი იპოვეს — **კვორუმს ადგილმონაცვლე დეპუტატებიდან ავსებდნენ, რომელთაც სხვა კომიტეტიდან „თხოულობდნენ“, რაც 2012-2016 წლების პარლამენტში იმას ნიშნავს, რომ თუკი ესა თუ ის დეპუტატი მაგალითად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე იმყოფებოდა, მას ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე, ან თუნდაც დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე გამოიძახებდნენ.**

კვორუმის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ამ მოწვევის პარლამენტში ყველაზე ორგანიზებული სპორტისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტები იყვნენ, კვორუმის პრობლემა კი ხშირად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტს ჰქონდა, რომლის ხელმძღვანელიც ვახტანგ ხმალაძე ერთ-ერთ ბეჯით კანონმდებლად შეიძლება ჩაითვალოს.

უნდა აღინიშნოს, რომ კვორუმის გარდა, პრობლემა იყო ისიც, რომ ზოგიერთი დეპუტატი კანონპროექტებს არათუ ამზადებდა, არამედ ზოგჯერ, ხმას ისე აძლევდა, არც კი კითხულობდა.

იმის მიუხედავად, რომ ამ მოწვევის პარლამენტის გადაუჭრელ პრობლემად კვორუმი იქცა, მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრობის სურვილს ის დეპუტატებიც გამოთქვამენ, რომლებიც პლენარული სხდომების გაცდენის კუთხით, **„რეკორდსმენებად“ იქცნენ. მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიაში ესაა ზაზა კედელაშვილი, რომელმაც საგაზაფხულო სესიის 22 სხდომიდან 21 სხდომა გააცდინა.**

ვინაიდან, მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრობა ბევრ მოქმედ დეპუტატს ისევ სურს, for.ge-მ იმის გარკვევა სცადა, მათ მერვე მოწვევის პარლამენტში რა გააკეთეს და რამდენ სხდომას დაესწრნენ. სწორედ ამ მიზნით, საკანონმდებლო ორგანოს აპარატიდან დეპუტატების პლენარულ სხდომებზე დასწრების სტატისტიკა გამოვითხოვეთ, რომელიც 2016 წლის თებერვალ-მაისის პერიოდს მოიცავს.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ კვორუმს ფრაქცია „ქართული ოცნება“ ავსებს, რომელსაც რესპუბლიკელები, მრეწველები და კონსერვატორები ეხმარებიან, უმცირესობა, „თავისუფალი დემოკრატები“ და „გირჩი“ კი, სხდომებს არ სწყალობენ.

იქიდან გამომდინარე, რომ მოწესრიგებული დეპუტატების რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელია, უწინარესად, იმ ათი დეპუტატის ვინაობას გავასაჯაროვებთ, რომლებიც 22 სხდომას დაესწრნენ. ესენი არიან: **როსტომ ხალვაში, ოთარ ჩრდილელი, თეიმურაზ ჩხაიძე, პაატა ბარათაშვილი, ვლადიმერ აჩბა, გია გაჩეჩილაძე, თემურ მაისურაძე, ბიძინა გუჯაბიძე, მალხაზ წერეთელი და ვანო კიღურაძე,** რომელიც ამ მოწვევის პარლამენტში უხუცესი დეპუტატია, თუმცა, ერთ-ერთი აქტიური.

for.ge-მ თითოეული ფრაქციის დასწრების სტატისტიკა დეტალურად შეისწავლა, სადაც სახარბიელო ვითარება არ იკვეთება. კერძოდ, ფრაქცია „მრეწველებში“, 22 სხდომიდან 2 სხდომა გიორგი კახიანმა გააცდინა, რომელსაც 4-4 გაცდენით ზურაბ ტყემალაძე და დემურ ბაშალეიშვილი მოსდევენ, გოგი თოფაძეს — 5 გაცდენა აქვს, პაატა კიკნაველიძესა და თამაზ ყაჭეიშვილს კი 6-6.

ფრაქცია „კონსერვატორების“ წარმომადგენლები სხდომების გაცდენებით არ გამოირჩევიან და მათ ბიძინა გუჯაბიძის სახით ისეთი წევრიც ჰყავთ, რომელსაც 22 სხდომიდან არც ერთი არ გაუცდენია.

როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ფრაქცია — „რესპუბლიკელებში“ ყველაზე მეტი გაცდენა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს აქვს, რომელიც 22 სხდომიდან 11 სხდომას არ დაესწრო, თუმცა, შესაძლოა, სხდომები იმ შეხვედრებს დაემთხვა, რომლებსაც სპიკერი ქუთაისში სხდომების მსვლელობისას თბილისში მართავდა. კონსერვატორების მსგავსად, რესპულიკელებშიც არის ისეთი დეპუტატი, რომელიც 22 სხდომას დაესწრო. თუკი **მალხაზ წერეთელს** არც ერთი გაცდენა არა აქვს, **თამარ კორძაიამ** და **ვახტანგ ხმალაძემ** 2-2 სხდომა გააცდინეს, ძმები **ბერძენიშვილების, თემურ ნერგაძისა** და **ფრიდონ საყვარელიძის** ანგარიშზე 3-3 სხდომაა, **ნოდარ ებანოიძემ** — 8 სხდომა გააცდინა, **თამარ ხიდაშელმა** კი — 7.

როგორც სტატისტიკიდან ჩანს, მმართველ გუნდს კვორუმის შევსებაში ასევე ეხმარებიან ე.წ. ბიზნესმენი დეპუტატების ფრაქციები, რომლებიც „თავისუფალი დემოკრატების“ კოალიციიდან წასვლის შემდეგ, „ოცნებას“ უმრავლესობის შენარჩუნებაში დაეხმარნენ.

თუკი **კახა ოქრიაშვილის, ანზორ ბოლქვაძის, გურამ მისაბიშვილის, სერგო ხაბულიანისა** და **გიორგი გოზალიშვილის** ანგარიშზე 2-2 სხდომის გაცდენა ფიქსირდება, **გოჩა ენუქიძემ** და **მარიკა ვერულაშვილმა** 3-3 სხდომა გააცდინეს, **გიორგი ფეიქრიშვილმა** და **იაშა შერვაშიძემ** 4-4, **ენზელ მკოიანმა** — 5, **გოდერძი ბუკიამ** — 6, ხოლო **გოგი ლიპარტელიანმა** — 8.

ე.წ. ბიზნესმენი დეპუტატების მსგავსად, სხდომებზე საგანგებოდ ცხადდებოდნენ დამოუკიდებელი დეპუტატები — **კობა დავითაშვილი** და **დავით ბეჟუაშვილი,** რომლებიც ამა თუ იმ კანონპროექტს ხმას „ოცნების“ სასიკეთოდ აძლევდნენ. ამაზე მეტყველებს სტატისტიკაც, რომლის მიხედვით, 22 სხდომიდან **კობა დავითაშვილმა** — 19 გააცდინა, ხოლო **დავით ბეჟუაშვილმა** — 16.

ამ მოწვევის პარლამენტში, აღნიშნული პირების გარდა, დამოუკიდებელი დეპუტატები არიან **გიორგი ვაშაძე,** რომელმაც — 14 სხდომა გააცდინა, ხოლო **მურმან დუმბაძემ** — 1.

ნაციონალებისგან განსხვავებით, სხდომაზე დასწრების შემთხვევაში, კოალიციიდან წამოსული „ეროვნული ფორუმის“ წევრები რეგისტრაციას გადიოდნენ, მაგრამ სტატისტიკიდან ირკვევა, რომ სხდომებს ზოგჯერ არც ისინი სწყალობდნენ, რადგან **ანი მიროტაძემ** — 22 სხდომიდან 10 გააცდინა, **გუბაზ სანიკიძემ** — 11, **გიორგი ხეჩინაშვილმა** — 2, **მალხაზ ვახტანგიშვილმა** — 7, **შალვა კიკნაველიძემ** — 9, ხოლო **თემურ მაისურაძემ** — არც ერთი.

ზემოთ აღნიშნული დეპუტატების მსგავსად, სხდომებს არ სწყალობს „გირჩიც“. თუკი პავლე კუბლაშვილსა და ზურაბ ჯაფარიძეს 13-13 სხდომა აქვთ გაცდენილი, გოგა ხაჩიძე — 14 სხდომას არ დაესწრო, ხოლო **გიორგი მელაძე** — 16-ს.

**უნდა ითქვას, რომ სტატისტიკის გაცნობიდან ერთი რეალობა გამოიკვეთა. თუკი უმრავლესობაში ყოფნის დროს, „თავისუფალი დემოკრატები“ ორგანიზებულობით, მუშაობითა და სხდომებზე დასწრებით გამოირჩეოდნენ, ოპოზიციაში ყოფნის დროს, სხდომებს არ სწყალობდნენ, რისი დამსახურებაც ისაა, რომ გიორგი ცაგარეიშვილს, დავით ონოფრიშვილსა** და **ვიქტორ დოლიძეს** 18-18 გაცდენა აქვთ, **თამაზ შიოშვილს, ირაკლი ჩიქოვანსა** და **ნინო გოგუაძეს** 17-17, ხოლო **შალვა შავგულიძესა** და **ზურაბ აბაშიძეს** 14-14.

სხდომების გაცდენების კუთხით „რეკორდსმენები“ სწორედ „ნაციონალურ მოძრაობაში“ არიან, რომელთა შორის ლიდერობენ: **კობა ნაყოფია (21 სხდომა), ზაზა კედელაშვილი (21 სხდომა), ზურაბ ჩინლინგარაშვილი (19 სხდომა), დავით ბაქრაძე (19 სხდომა), გიორგი ღვინიაშვილი (19 სხდომა), გოკა გაბაშვილი (19 სხდომა), პაატა ლეჟავა (19 სხდომა), ლევან ქარდავა (19 სხდომა), გივი თარგამაძე (18 სხდომა), კახა ბუცხრიკიძე (18 სხდომა), რამაზ ნიკოლაიშვილი (18 სხდომა), პეტრე ცისკარიშვილი (18 სხდომა), ნიკოლოზ ყიფშიძე (17 სხდომა), აზერ სულეიმანოვი (17 სხდომა), გიორგი კარბელაშვილი (17 სხდომა), კობა სუბელიანი (17 სხდომა), ეკა ხერხეულიძე (16 სხდომა), მარიამ საჯაია (16 სხდომა), ლევან ბეჟაშვილი (16 სხდომა), გიორგი კანდელაკი (16 სხდომა), თინა ბოკუჩავა (15 სხდომა), ხათუნა გოგორიშვილი (15 სხდომა), გიორგი თევდორაძე (15 სხდომა), შოთა მალაშხია (15 სხდომა), აკაკი ბობოხიძე - (14 სხდომა), გიორგი ბარამიძე (14 სხდომა), ზურაბ მელიქიშვილი (14 სხდომა), დავით დარცმელიძე (13 სხდომა), ვახტანგ ლემონჯავა (13 სხდომა), დავით ჭავჭანიძე (13 სხდომა), ლევან თარხნიშვილი (13 სხდომა), აკაკი მინაშვილი (13 სხდომა), მიხეილ მაჭავარიანი (12 სხდომა), გიგი წერეთელი (12 სხდომა), ჩიორა თაქთაქიშვილი (12 სხდომა), როლანდ ახალაია (11 სხდომა), ვაჟა ჩიტაშვილი (10 სხდომა), ირმა ნადირაშვილი (10 სხდომა), დავით დარჩიაშვილი (10 სხდომა), სერგო რატიანი (10 სხდომა), ტარიელ ლონდარიძე (9 სხდომა), ომარ მეგრელიძე (7 სხდომა), მიხეილ მახარაძე (9 სხდომა) და სამველ პეტროსიანი (14 სხდომა).**

რაც შეეხება „ქართული ოცნებას“, ფრაქციის წევრები სხდომებს ესწრებოდნენ, თუმცა, მათ არაორგანიზებულობა ეტყობოდათ, რადგან ისეთი შემთხვევებიც აღინუსხა, როცა ფრაქციის რამდენიმე წევრმა სხდომა კენჭისყრებამდე დატოვა და იმის გამო, რომ კვორუმი არ იყო, ერთხელ კენჭისყრაზე „შრომის კოდექსიც“ კი ჩავარდა.

სტატისტიკიდან ირკვევა, რომ „ქართულ ოცნებაში“ 22 სხდომიდან ყველაზე მეტი გაცდენა **ზაქარია ქუცნაშვილს** აქვს, რომლის ანგარიშზეც — 14 „არა“ ირიცხება. ქუცნაშვილს 11 სხდომის გაცდენით **თედო ჯაფარიძე** მოსდევს, 9-9 სხდომა კი **დიმიტრი ხუნდაძემ** და **ზურაბ ზვიადაურმა** გააცდინეს.

**თეონა მანაგაძე**

## ისე საინტერესოა, დაუჭერს თუ არა გიგი წერეთელს მხარს უსუფაშვილის პარტია?



თუ გიგი წერეთელს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარედ აირჩევენ ეს იქნება ჩვეულებრივი მოვლენა — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ თემის კომენტირებისას.

**„მინდა, ყველას შევახსენო, რომ აქ საკითხი წყდება ეუთოს საპარლმენტო ასამბლეის 57 ქვეყნის მიერ. 500 ხმაში საქართველოს აქვს 3 ხმა. ასე რომ, რაც უნდა გულზე მჯიღი ვიცეთ, ვიღაცა მხარს უჭერს და ვიღაცა — არა, ეს არ არის გადამწყვეტი. პოლიტიკური ჯგუფები უჭერენ კანდიდატს მხარს და არა — ინდივიდები. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ „ევროპის სახალხო პარტია“ მხარს უჭერს გიგი წერეთელს, რადგან ამ ორგანიზაციის წევრია. „სოციალ-დემოკრატების“ კანდიდატს მხარს უჭერს „ქართული ოცნება“, რომლის წევრიც არის. მე პირადად, ვარ „ლიბერალ-დემოკრატების“ წევრი და მათთან ერთად მივიღებ გადაწყვეტილებას“,** — განაცხადა დავით უსუფაშვილმა. მისივე თქმით, პერსონალური დამოკიდებულებები არაფერ შუაშია. **„საერთოდ უნდა ვისწავლოთ, რომ საერთაშორისო არენაზე ჩვენი შიდა კინკლაობები და პწკენები სირცხვილია“,** — აღნიშნა უსუფაშვილმა.

## მთავრობაში ცვლილებები პრემიერის პრეროგატივაა

**არ ვიცი, რა ცვლილებები განხორციელდება მთავრობაში უახლოეს პერიოდში, ვინაიდან ეს თავიდან ბოლომდე პრემიერის პრეროგატივაა,** — ასე ეხმაურება დავით სერგეენკო გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თავდაცვის მინისტრის პოსტზე თინა ხიდაშელი შესაძლოა, ირაკლი სესიაშვილმა შეცვალოს. **„თითქმის ოთხი წლის განმავლობაში, რაც მე ვარ მთავრობის წევრი, მთელი რიგი ცვლილებები განხორციელდა და თითოეული ამ ცვლილების მიზანი იყო, რომ მთავრობას უფრო ეფექტურად ემუშავა“,** — განაცხადა დავით სერგეენკომ.

**ამ მასალის ქართველი მკითხველისთვის წარდგენა საჭიროდ მივიჩნიეთ ბოლო პერიოდში ტელევიზიითა და მედიის სხვა საშუალებებით ე.წ. სამედიცინო ტურიზმის, ანუ ქართველი პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობისთვის, პირდაპირ ვთქვათ, გადაბირების გაუთავებელი მოწოდებებისა და სარეკლამო კამპანიის გამო. ხან თურქეთის კლინიკებს გვახარბებენ, ხან — ისრაელისას... თითქოს საქართველში არც მედიცინა არსებობს, არც ექიმები გვყავს და არც ისეთი კლინიკები გვაქვს, რომლებშიც პაციენტს სრულყოფილ სამედიცინო დახმარებას გაუწევენ... მოდური გახდა საკუთარის უარყოფა და მაინცდამაინც გადამთიელის ქება-დიდება... ამ პრობლემაზე გვესაუბრება საქართველოში ცნობილი კლინიკის, უმძლავრესი სადიაგნოსტიკო-სამკურნალო ცენტრის, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა.**

# „სამედიცინო ტურიზმი“, როგორც სატყუარა

## ხშირად რატომ ვენდობით ბრმად უცხოელსა და უცხოურს და რად ვამჯობინებთ სხვის კარგს ჩვენს გაცილებით უკეთესს?!



**— მართლა ასე უჭირს დღეს ქართულ მედიცინას, თუ რაიმე სხვა, უფრო კომერციულ, ვიღაც კერძო პირების ინტერესებზე დაფუძნებულ ტენდენციასთან გვაქვს საქმე?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადაგიხადოთ ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის წამოჭრისთვის. რამდენიმე დღის წინათ ვუყურე რაღაც მსგავს ტელეგადაცემას და, სიმართლე გითხრათ, ძალიან შევწუხდი. **გული მტკივა, არ მინდა, დავიჯერო, რომ ჩვენთან ამას მავანთა ინტერესების გამო აკეთებენ, რომ სხვათა ინტერესების რეკლამირება უფრო ღირებულია ჩვენთვის, ვიდრე გადარჩენილი სიცოცხლე, რომ სხვისი კარგი გვირჩევნია ჩვენს გაცილებით უკეთესს.** ქალაქი სავსეა ამგვარი ბილბორდებით; საქართველოში სოკოებივით მომრავლდა უცხოეთის კლინიკების „წარმომადგენლობები“, რომლებიც სამედიცინო სერვისთან ერთად ლამის უფასო მგზავრობასა და სხვა კომფორტს სთავაზობენ პაციენტებს; ვერ გამიგია, რატომ უშვებენ ჩვენი ექიმები პაციენტებს უცხოურ კლინიკებში, თითქოს არც იციან, რომ მკურნალობის ესა თუ ის მეთოდი, დიდი ხანია, დანერგილია საქართველოშიც, ან უარესი — იციან და მაინც სხვას ურჩევენ. უამრავი თანხა იხარჯება; **უამრავი, გაუბედურებელი ოჯახი ბრმად ენდობა „კეთილ“ რჩევას და, ისედაც დიდი პრობლემების წინაშე მდგარი, უფრო ირთულებს მდგომარეობას.**

მძიმე სენის წინაშე უმწეოდ დარჩენილი პაციენტებისთვის რთულია სწორი ტაქტიკისა და პრიორიტეტების განსაზღვრა და სწორედ აქ მუშაობს რეკლამა.

არც ერთი ქვეყნის მედიცინის, არც ერთი ექიმის დაკნინება არ მინდა. თითქმის ყველა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას ვიცნობ, ბევრი კლინიკის შესაძლებლობა პირადად მაქვს შესწავლილი. ვამაყობ იმით, რომ **დღეს საქართველოში არსებობს ის ტექნიკური შესაძლებლობები და ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც ბევრი განვითარებული ევროპული ქვეყნისთვისაც კი სანატრელია.** ამაში გარკვეული წვლილი მეც მაქვს შეტანილი, მაგრამ ახლა მთავარი ეს არ არის, მთავარი არის ის, რომ ჩვენს ქვეყანას, ქართველ პაციენტებს აქვთ ის, რაც არა აქვს ბევრი ევროპული პრესტიჟული კლინიკის კონტინგენტს. ბევრჯერ მითქვამს და მინდა, კიდევ ერთხელ გავიმეორო: **ქართველი ერის მთავარი სიმდიდრე, რომლითაც შეუძლია იამაყოს, არის მისი ინტელექტუალური პოტენციალი. საქართველოში გვაქვს სამედიცინო მიმართულებები — კეთდება პრაქტიკულად ყველა სახის გამოკვლევა და სამკურნალო ჩარევა, იქნება ეს ონკოლოგია, ქირურგია, ნეიროქირურგია, კარდიოქირურგია, რადიოლოგია თუ სხვა.**

რადიოლოგია მედიცინის ერთ-ერთი დინამიკური და სწრაფად განვითარებადი დარგია. ალბათ, არც ერთ სხვა დარგში ასე მოკლე პერიოდში არ მომხდარა ამდენი რევოლუციური ნახტომი: ახალ-ახალი თაობის კომპიუტერული ტომოგრაფები, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის აპარატები, ბირთვული მედიცინის განვითარება, სხივური თერაპიის მიღწევები ისე შემოიჭრა მედიცინაში, რომ დღეს ქირურგია, კარდიოლოგია, ონკოლოგია თუ მედიცინის ნებისმიერი სხვა დარგი წარმოუდგენელია რადიოლოგიის გარეშე.

გვყავს კარგად მომზადებული სპეციალისტები. კარგია, როცა ჩვენი თანამემამულენი საზღვარგარეთ აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებებს. ნებისმიერი ქვეყანა სიხარულით უღებს მათ კარს. საბედნიეროდ, ქართველებს გვახასიათებს განსაკუთრებული ნოსტალგია, რომელსაც ადრე თუ გვიან სამშობლოში მოვყავართ. ვიცნობ ძალიან ბევრ არაჩვეულებრივ ექიმს, რომლებმაც კარგი განათლება მიიღეს საზღვარგარეთ და ახლა აქ მოღვაწეობენ.

**მაშ, რატომ უნდა წავიდნენ ჩვენი პაციენტები უცხოეთში?**

**ვერ გეტყვით, ვის ინტერესებს ემსახურება, „სამედიცინო ტურიზმის“ რეკლამა, მაგრამ, ჩვენი მოქალაქეებისას რომ არა, ცხადია.**

**— მაშასადამე, საზღვარგარეთ წასვლას არ მოაქვს რაღაც განსაკუთრებული სარგებელი?**

— ნამდვილად ასეა. მეტსაც გეტყვით, დღეს საქართველოში არის რამდენიმე ხაზოვანი ამაჩქარებელი, მათ შორის, ამერიკული ფირმა „ვარიანის“ 2 უახლესი თაობის truebeam-ი ჩვენს ინსტიტუტშია განთავსებული. **ეს არის აპარატები, რომლებიც საშუალებას იძლევა, ონკოლოგიურ პაციენტებს ჩაუტარდეს წერტილოვანი, მიზანმიმართული დასხივება და რადიოქირურგიული (უსისხლო) ოპერაციები. დღეში, საშუალოდ, 150 პაციენტს უტარდება სხივური თერაპია ამ ორ აპარატზე.**

შედეგი საოცარია: ერთი კვირის წინათ მოვაწერეთ ხელი ხელშეკრულებას ამავე ფირმის მესამე ხაზოვანი ამაჩქარებლის შეძენაზე. ამჟამად ეს იქნება უახლესი, 2016 წლის მოდელი — რადიოქირურგიული სისტემა **EDGE Radiosurgery system. ასეთი აპარატი სულ 21-ია მსოფლიოში, მათგან 16 ამერიკაშია და მხოლოდ 5 — ევროპაში. საქართველო იქნება პირველი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპას, თურქეთსა და სხვა აზიურ ქვეყნებს შორის, სადაც დამონტაჟდება ასეთი კლასის აპარატი. აღარაფერს ვიტყვი სხვა რადიოლოგიური ტექნიკის კონცენტრაციაზე (კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფები, ლაპარასკოპიული და ენდოსკოპიური ქირურგიის შესაძლებლობები), რომელიც დღეს ხელმისაწვდომია ქართველი პაციენტებისთვის.**

**— ხელმისაწვდომია? ასეთი ძვირად ღირებული აპარატურისა და სერვისის ფასებს გაწვდება კი ჩვენი მოსახლეობა?**

— ჯერ ერთი, სახელმწიფო ძალიან დიდ შეღავათს უკეთებს პაციენტებს. **საყოველთაო ჯანდაცვა აფინანსებს როგორც გადაუდებელ, ისე გეგმურ ქირურგიულ ოპერაციებს, ქიმიოთერაპიას, რადიოთერაპიას, მიუხედავად მოქალაქის ასაკისა და სოციალური კუთვნილებისა. რამდენი ქვეყანა შეგიძლიათ დამისახელოთ, რომელშიც დაფინანსება საყოველთაოა?** ცნობილია, რომ უმეტესად განვითარებულ ქვეყნებში მუშაობს სადაზღვევო მედიცინა. მეორე მხრივ, **საზღვარგარეთ ასეთი დონის მკურნალობა 10-15-ჯერ უფრო ძვირია, ვიდრე ჩვენთან. იმ პაციენტების უმრავლესობას, რომლებიც საზღვარგარეთ მიდიან სადიაგნოსტიკოდ და სამკურნალოდ, როგორც წესი, ბოლო კაპიკამდე ამოაწურინებენ სახსრებს და ასე ისტუმრებენ შინ.** რომ იცოდეთ, რამდენი ამნაირი მოდის შემდეგ ჩვენთან ინსტიტუტში და გაოგნებული გებულობს, რომ ზუსტად იგივე და კიდევ უფრო კარგი მკურნალობის ჩატარება შეიძლება თურმე საქართველოში და თანაც — გაცილებით იაფად.

**— შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ თქვენს ინსტიტუტში ყველა ის მიმართულებაა დანერგილი, რომლებიც დღეს თანამედროვე მედიცინას აქვს? რას იტყვით, მაგალითად, „პეტ“-ზე, რომელიც, როგორც ვიცი, არ გაქვთ, არადა, ყველაზე ხშირად სწორედ „პეტ“-ის გასაკეთებლად მიდიან საზღვარგარეთ, რადგან იგი ლამის პანაცეად არის მიჩნეული ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკაში?**

— აუცილებლად უნდა ითქვას, რომ დღეს მსოფლიოში აღინიშნება ონკოლოგიური დაავადებების სიხშირის მატების განუხრელი ტენდენცია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში კიბოს 14 მლნ-ზე მეტი ახალი შემთხვევა რეგისტრირდება. არ არის გასაკვირი, რომ ონკოლოგიური დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის პრობლემები მსოფლიო ჯანდაცვის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად იქცა.

**საქართველოში ყოველწლიურად აღირიცხება 14 000-მდე ახალი ონკოლოგიური პაციენტი. აქვე აღსანიშნავია, რომ რეალურად ონკოლოგიურ დაავადებათა შემთხვევების მატებას ხელი შეუწყო დიაგნოსტიკის მეთოდების სრულყოფამაც.**

მოდით, შევთანხმდეთ, რომ ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში პანაცეა არ არსებობს. ონკოლოგია მულტიდისციპლინური დარგია. **ყველა მეთოდს, იქნება ეს პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული, კომპიუტერული თუ ნებისმიერი სხვა, აქვს თავისი უპირატესობა და კონკრეტული ჩვენებები. ყველა ეს მეთოდი შეავსებს ერთმანეთს, მაგრამ ერთი მეორეს არ ჩაენაცვლება.** რაც შეეხება პეტს, ანუ პოზიტრონულ ემისიურ ტომოგრაფიას, იგი უდავოდ მნიშვნელოვანი და ინფორმაციული მეთოდია ზოგიერთი ონკოლოგიური დაავადების დიაგნოსტიკაში. „ზოგიერთი“ იმიტომ ვთქვი, რომ ამ მეთოდის გამოყენება 36 ძირითადი ონკოლოგიური ნოზოლოგიიდან მიზანშეწონილია მხოლოდ 9 დაავადების შემთხვევაში. დანარჩენი პათოლოგიების დროს მას არ ენიჭება მაღალი ინფორმაციული როლი. დიდია პეტ-ის მგრძნობელობა ლიმფომების, ფილტვის წვრილუჯრედული კიბოს, თავკისრის სიმსივნეების დროს; საკმაოდ შეზღუდულია თავის ტვინის, პროსტატის, ღვიძლის, ძუძუს კიბოს პირველად დიაგნოსტიკაში, უკუნაჩვენებია ორსულებისთვის, სიფრთხილით გამოიყენება 18 წლამდე ბავშვებში. საკმაოდ კარგია უცნობი პირველადი კერის დასადგენად და ბიოფსიის ადგილის შესარჩევად, თუმცა ვერავითარ შემთხვევაში ვერ ცვლის ბიოფსიას და ვერ ხედავს 8 მმ-ზე ნაკლები ზომის წარმონაქმნებს.

გავიმეორებ — კვლევის სხვადასხვა მეთოდი ავსებს ერთმანეთს, მხოლოდ მათი ერთობლიობა იძლევა სრულ საბოლოო სურათს, რომელიც აუცილებელია ზუსტი დიაგნოზისა და ამ ზუსტ დიაგნოზზე დამყარებული მკურნალობის სწორი ტაქტიკის შესარჩევად.

**ჩვენს ინსტიტუტში სპეციალურად აშენებულ მესამე კორპუსში სექტემბრისთვის განთავსდება სხივური თერაპიის ის უახლესი აპარატი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ და ბრაქითერაპიის ახალი განყოფილება. როგორც ერთ-ერთი ვარიანტი, განიხილება პეტ-ის შეძენაც, მაგრამ გამოგიტყდებით, კიდევ უფრო ახალ, ამბიციურ გამოწვევებზეც ვფიქრობთ... მანამდე კი, ჩვენს ძირითად თემას რომ დავუბრუნდეთ, არც პეტ-ის გადასაღებად არის აუცილებელი საზღვარგარეთ გამგზავრება — უკვე 2 წელიწადზე მეტია, პეტ-ი დგას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრში (ინგოროყვას კლინიკაში). ამასთანავე, ფაქტია, რომ მრავალი დაავადებისას პეტ-ის შესაძლებლობებს სრულად ასრულებს მთელი სხეულის MRT კვლევა, ეგრეთწოდებული Whole body MRI, რომელსაც საერთოდ არა აქვს არავითარი დასხივება და აბსოლუტურად უსაფრთხოდ გამოიყენება ბავშვებში.**

**— ბატონო ფრიდონ, თქვენ ახსენეთ უსაფრთხოება. როგორც ცნობილია, რენტგენი, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა და პეტ-იც გარკვეულწილად მაინც გულისხმობს დასხივების რაღაც დოზას. რამდენად საშიშია ეს პაციენტისთვის?**

— ეს ის თემაა, რომელზეც, როგორც წესი, არ საუბრობენ. ეს გამოკვლევები დაფუძნებულია გამა-გამოსხივებაზე, შესაბამისად, კვლევის შედეგად ხდება პაციენტის სხივური დატვირთვა, რომელსაც, შესაძლოა, ხშირად სავალალო შედეგი მოჰყვეს, განსაკუთრებით — ბავშვებში. ნებისმიერი კვლევის მეთოდის გამოყენებისას გულმოდგინედ უნდა იქნას შესწავლილი ყველა ჩვენება და უკუჩვენება, შეფასდეს რისკი და მისი აუცილებლობა გამოკვლევის შედეგის ინფორმაციულობის თვალსაზრისით. მაგალითისთვის: „პეტ“-ის ერთჯერადი დასხივების დოზა 1,5-ჯერ აღმატება წლიურ დასაშვებ ნორმას. არადა, ხშირად მსმენია, რომ საზღვარგარეთ სწორედ პეტ-ის გასაკეთებლად მიემგზავრებიან, ზოგჯერ მაშინაც კი, როცა ეს გამოკვლევა სულაც არ არის აუცილებელი.

ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო თაობის მანქანებზე კვლევა უფრო სწრაფია, შესაბამისად, მცირდება გამოსხივების პერიოდი და დოზა. ახალი აპარატები აღჭურვილია სპეციალური უსაფრთხოების სისტემებით. ეს ეხება სხივური თერაპიის აპარატებს, კომპიუტერულ ტომოგრაფებს, ნებისმიერი სახის რენტგენოლოგიურ ტექნიკას, პეტ-სისტემებს. ასე მაგალითად, SIEMENS-ის PET CT-ის 2016 წლის მოდელს უპრეცედენტოდ დაბალი სხივური დატვირთვა აქვს. სწორედ ამიტომ, როგორც რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ყოველთვის ვურჩევ ჩემს კოლეგებს, კლინიკების ხელმძღვანელებს, შეიძინონ ბოლო თაობის აპარატები და არა ძველი, ევროპაში უკვე ექსპლუატაციიდან გამოსული საეჭვო ვარგისიანობის დანადგარები. მხოლოდ ასე შეიძლება როგორც პაციენტის, ისე იმ ექიმის დაცვა, რომელიც მსგავს აპარატურაზე მუშაობს.



ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე.**

**P. S. დარწმუნებული ვართ, რომ ბატონ ფრიდონ თოდუას ნაუბარი გაარკვევს ჩვენს მოქალაქეებს, რა შესაძლებლობები არსებობს საქართველოში დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საქმეში.**

**ა. ს.**

# „პარალელური“ ფიქრები რობერტ სტურუას ახალ სპექტაკლზე

## გამოგიტყდებით და მეგონა...

პარალელური ვისთან?

თეატრმცოდნე **ლაშა ჩხარტიშვილთან,** და არა მხოლოდ მასთან.

განსაკუთრებით მასთან, ვინც ბოლო დროს, დიდ (უკვე გენიალურსაც თამამად უწოდებენ) რეჟისორზე უცნაურად იყო გადაკიდებული. იმდენად უცნაურად, რომ მის შემოქმედებით კრიზისზე თვით აქუს ეთერშიც კი საუბრობდა.

ამის გამო, პირდაპირ თუ ირიბად, არაერთხელ გამიკენწლავს.

არც დიდ (გენიალურ) რეჟისორს დაუკლია მისთვის სოციალურ ქსელში მწარე ირონია.

და აი, სწორედ სოციალურ ქსელში ლაშა ჩხარტიშვილის ასეთ პოსტს ვკითხულობ:

„მოულოდნელი და იმავდროულად სასიამოვნო სიურპრიზი მოგვიწყო რობერტ სტურუამ რუსთაველის თეატრში ახალი სპექტაკლით „დაკანონებული უკანონობა“. გამოგიტყდებით და მეგონა, რომ რობერტ სტურუა ახალი დადგმით ველარ გამაოცებდა (მეც და ჩემს კოლეგებსაც), მაგრამ მაინც შეძლო შეექმნა ისეთი ამბავი, სამყარო სცენაზე, რომელიც არ მოგვადუნებდა, წარმოდგენის მსვლელობაში ჩაგვრთავდა და სიამოვნებასაც მოგვანიჭებდა... ასეთი სხარტი და მოქნილი სპექტაკლი რობერტ სტურუას ბოლო პერიოდში, ალბათ, არ დაუდგამს. მკაცრად რიტმულ-დინამიკური და სიუჟეტის მსუბუქი განვითარება, გაჯერებული პუბლიცისტიკით, ირონიით და თვითირონიით, იუმორით, სარკაზმით და გამორჩეულად ფერადოვანი (ზოგიერთი მათგანისგან მოულოდნელიც კი) მხატვრული სახეებით, რუსთაველის თეატრის მსახიობები რომ ქმნიან, მთლიანობაში ფეიერვერკულ სანახაობას ქმნის... სპექტაკლში ბრეხტის „ეპიკური თეატრის“ ხერხებს უკვე მიჩვეულ (შესაძლოა გადაღეჭილიც კი) რობერტ სტურუას სათეატრო ენა ცვლის, თუმცა განახლებულად, ახლებურად, გაჯანსაღებულად, სადად და თანამედროვედ“...

ეს გრძელი ციტატა იმისთვის არ მოვიხმე, რომ ახალგაზრდა თეატრმცოდნე ლოგიკურ ან სტილისტიკურ შეცოდებებში ვამხილო (თუმცა, არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ფეისბუქურ პოსტებში ენის მიმართ დაუდევრობა დასაშვებია), ამჯერად ჩემთვის მთავარი ისაა, რომ დიდმა (გენიალურმა!) რეჟისორმა ურწმუნო თომაც კი დაარწმუნა.

გამოგიტყდებით და არ მეგონაო?!

ასეთი სხარტი და მოქნილი სპექტაკლი ბოლო პერიოდში, ალბათ, არ დაუდგამსო?!

მე რომ მომეთმინა, ქალბატონი **მანანა თევზაძე** არ მოითმენდა. მყისვე გამოეხმაურა კიდეც: **„ლაშა, „ასულნი“ დაგავიწყდა?!“**

„ასულნი“ – **პოლიკარპე კაკაბაძის** პიესების კი არა, ფრაზების მიხედვით დადგმული ბრწყინვალე წარმოდგენა!





მაგრამ, ქალბატონო მანანა, ეს „დავიწყება“ უნდა შევუნდოთ: რობერტ სტურუამ ამჯერად ისეთი სპექტაკლი გვაჩვენა, რომ ყველაფერს დაგავიწყებს „კავკასიური ცარცის წრის“ გარდა.

„კავკასიურს“ თუნდაც იმიტომ ვერ დაგავიწყებს, რომ თვითონვე არაერთხელ გახსენებს.

რატომ?

ჩემი აზრით, იმიტომ, რომ გვითხრას, ესეც ბრეხტია, ოღონდ, უკვე ოცდამეერთე საუკუნის ბრეხტი!

ოცდამეერთე საუკუნის სტურუა, რომელსაც თითქოს, გამუდმებით ჩაესმის გალაკტიონის სიტყვები: „დრო, დრო აღნიშნე!“

და ჩვენს დროში არავინ ისე არ გრძნობს და აღნიშნავს დროს, როგორც რობერტ სტურუა.

და ჩვენს დროში მას შეუძლია, დაიკვეხნოს გალაკტიონივით: „ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ უდაბნო ლურჯად ნახავერდები“...

სწორედ უდაბნოში დაეძებენ ახალი სპექტაკლის მთავარი პერსონაჟები ნავთობის საბადოს და ამ გზაზე გამოჩნდება ყველა ადამიანური ნაკლი და ღირსება, სიკეთე და ბოროტება, სამყაროს ყველა ის უსამართლობაც, რაზეც ბრეხტი წერდა, სტურუა კი დგამს.

* * *

**გერმანიაში ბერტოლდ ბრეხტი იმიტომ დაიბადა, რომ ზუსტად ორმოცი წლის შემდეგ საქართველოში რობერტ სტურუა დაბადებულიყო.** – ეს ფრაზა სოციალურ ქსელში დავწერე თუ არა, ერთი გაბიზნესმენებული ჰუმანიტარი უმალვე შემეხმიანა: „რამდენად მომყიდი ამ აზრს?“

მილიონად-მეთქი, ვუთხარი, არა იმიტომ, რომ ახლა მას ნამდვილად შეუძლია (ჯვარი სწერია) ბევრის გადახდა (თუ გაიმეტებს), უბრალოდ, გაყიდვას არ ვაპირებდი.

ახალი სპექტაკლით რობერტ სტურუამ დაგვიმტკიცა, რომ ბრეხტი (შექსპირიც!) სწორედ მისთვის წერდა.

კიდევ კარგი, რომ პოლიკარპე კაკაბაძეც მისთვის წერდა!

ახალ სპექტაკლს რომ უყურებ, თანდათან ხვდები, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანს გვეუბნება, ვიდრე თავის დროზე „კავკასიურმა ცარცის წრემ“ გვითხრა. ოღონდ, კარგად უნდა გავიაზროთ: ბრეხტი და სტურუა გვეუბნებიან ერთს და უნდა ვიგულისხმოთ მეორე. მაგალითად, შეუძლებელია, ისინი ამას ფიქრობდნენ: „ძლიერს უნდა დაეხმარო, სუსტი უნდა დაჩაგრო!“ პირიქით, სწორედ ამას უპირისპირდებიან.

რაც შეეხებათ მსახიობებს, რომლებიც „სტურუას არ უყვარს“:

**ზვიად პაპუაშვილი** ხანდახან რამაზ ჩხიკვაძეს მოგვაგონებს (ცხადია, შეგნებულად), მაგრამ მთავარი გმირის სახეს თავისი (ძლიერი) ფერებით ხატავს; აქვე უნდა ითქვას: სპექტაკლში იგრძნობა ნოსტალგია დიდ მსახიობზე. რეჟისორმა იცოდა, რომ მას მაყურებელი აუცილებლად მოისაკლისებდა და „დაასწრო.“ მართლაც, თუ რაიმე აკლია სტურუას ბოლოდროინდელ დადგმებს, უწინარესად, რამაზ ჩხიკვაძის ვირტუოზობა, თუმცა, ისიც აშკარაა, რომ ზვიად პაპუაშვილმა ამ სპექტაკლში ისევე ღირსეულად ზიდა მთავარი გმირის ტვირთი, როგორც დავით უფლისაშვილმა – „იულიუს კეისარში“...

– სტურუა კი ყოველთვის სტურუაა...

– **ეკა მინდიაშვილის** პერსონაჟიც თან ჰგავს და თანაც ძალიან არ ჰგავს იზა გიგოშვილის (ანდა თათული დოლიძის) გრუშეს. ამ მსახიობსაც აქვს თავისი ფერები;

**ნიკა ქაცარიძის** შეიხი ქართულ თეატრში ბოლო დროს შექმნილი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნიღაბია;

აქ ცოტა „შევისვენოთ“.

თეატრში, რა თქმა უნდა, სიტყვა უმნიშვნელოვანესია, თუმცა ზოგიერთ რეჟისორს (გვარასაც ვიტყვი და სახელსაც – ლევან წულაძე) ეს ჭეშმარიტება დაავიწყდა. ილია ჭავჭავაძე თეატრს „ორ ლვაწლს“ სთხოვდა – ენისა და ზნეობის დაცვას.

ჩვენი თეატრების უმეტესობა დღეს აღარც ენას იცავს და აღარც ზნეობას.

ამჯერად ამას ვერ ვიტყვით: სცენიდან დიდი დრამატურგის ტექსტი სანიმუშო ქართულით გვესმის. რაც შეეხება ზნეობას, ეს სპექტაკლი ხომ მთლიანად ამაზეა – ზნეობის უკლებლივ ყველა ასპექტზე.

და მაინც, თეატრი სანახაობაა და აქ სიტყვის ქმედებად ქცევაა ყველაზე მნიშვნელოვანი. მთავარია არა მხოლოდ ის, რასაც შეიხი ამბობს, არამედ ის, თუ როგორ ამბობს. როგორ შემოდის ნიკა ქაცარიძე! როგორ დადის! როგორ მეტყველებს! როგორ აცვია! რა მეტყველია ეს ყველაფერი. რობერტ სტურუა (ვისაც „მსახიობი არ უყვარს“) დიდოსტატურად განაგრძობს დაუვიწყარი არტისტული ნიღბების შექმნას. ამჯერად ნიკა ქაცარიძე აღმოჩნდა „ის ბედნიერი“.

თუმცა, რატომ მხოლოდ ის. იგივე ითქმის **დავით დარჩიაზე,** ვისი მოსამართლეც, ჩაცმულობითა და მეტყველებით ასევე გამორჩეული, ერთდროულად განასახიერებს ბრეხტს, სტურუას, თემიდას და სპექტაკლის მთავარ სათქმელს გამოხატავს. როცა მრავალშვილიანი ქვრივი ჰკითხავს, ჩემი ქმრის მკვლელს რას უპირებო, პასუხი ასეთია: **„მას უარესი სასჯელი ელის – აქ დარჩება და იცოცხლებს სამარადისოდ!“;**

**დავით გოცირიძეში** ყოველთვის იგრძნობოდა დაფარული არტისტული პოტენციალი, რაც ამ სპექტაკლში აღარ დაიმალა;

აქტიორული დაოსტატების გზაზე ახალ წახნაგებს გვიჩვენებენ **ბექა სონღულაშვილი** და **ქეთი სვანიძე;**

სპექტაკლის ქსოვილში ორგანულად ეწერებიან ანდრია თავბერიძე და ედმონდ მინაშვილი.

ამიტომაც არ გამკვირვებია ბატონი **რეზო კლდიაშვილის** გამოხმაურება: **„რაო, სტურუა ამოიწურაო** (ესეც „ადრინდელი“ ლაშა ჩხარტიშვილის გასაგონად – **ავტ.**)? **მიბრძანდით რუსთაველის თეატრში და იხილეთ თეატრალური ზეიმი, მსახიობები ნამდვილი ვირტუოზები არიან. გეთანხმები, ლაშა.“**

იქვეა **კოტე მირიანაშვილის** კომენტარიც: **„ ვეთანხმები ლაშას. ძალიან კარგი სპექტაკლია, დახვეწილი, ნატიფი, გამომგონებლური, ხულიგნური, თვითირონიული, ლამაზი და ა. შ. ნავთობის ფასებზე მუსიკალური ვაჭრობა! რამ მოაფიქრებინა! და თან როგორი ზუსტი, სახიერი და მეტაფორულია ჩვენ დროში, როდესაც ასე აბურთავებენ ამ ნავთობის ფასს. სამჯერ გაცოცხლებულმა მკვდარმა პერსონაჟმა რამაზ ჩხიკვაძის ინტონაციით რომ დაიძახა- აღარ გამანებებთ თავს?! – კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ იცის ამ კაცმა, ყველაფერი იცის და ძალიან მაგარია, მწვერვალებიც მაღალი აქვს და კრიზისებიც შესაბამისი – გენიოსია და რა ქნას?!“**

დიახ, იცის ამ კაცმა, მაგრამ ჩვენ თუ ვიცით?..

ცხადია, ეს კითხვა ყველას არ ეხება.

დღეიდან – აღარც ლაშა ჩხარტიშვილს.

მიხარია...

ასე იცის სტურუამ...

**იოსებ ჭუმბურიძე**




# დედამიწის ზურგზე

### ირანი ავღანეთში ქირაობს მებრძოლ შიიტებს სირიის კონფლიქტში მონაწილეობისათვის

ადრე ბრიტანეთის გაზეთი „დი გარდიანი“ წერდა, რომ თეირანი აპირებს, დაიქირაოს ავღანელი ლტოლვილები. ახლა ჟურნალისტებმა ნახეს თვითმხილველები, რომლებმაც ისაუბრეს შიიტების დაქირავების შესახებ ავღანეთში: ირანის საელჩოს მეშვეობით ქაბულში, აგრეთვე მეჩეთის შუამავლობით. ავღანელები მიდიან სირიაში საბრძოლველად სხვადასხვა მიზეზებით: ფულისთვის, სოციალური სტატუსის, აგრეთვე რელიგიური მოსაზრებებით.

### ობამამ მოუწოდა კანადას, უფრო აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ნატოს საქმიანობაში და გაზარდოს ხარჯები თავდაცვისათვის

„როგორც თქვენს მოკავშირეს ნატოს მეშვეობით და მეგობარს, ნება მომეცით, გითხრათ, რომ ჩვენ უფრო მეტად დაცულები ვიქნებით, როდესაც ნატოს ყოველი წევრი, მათ შორის კანადაც, შეიტანს მთლიანად თავის წილს ჩვენს კოლექტიურ უსაფრთხოებაში“, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, როდესაც კანადის პარლამენტში გამოდიოდა ოტავაში ჩრდილოეთი ამერიკის ქვეყნების ლიდერების სამიტზე.

### ბრაზილიის პრეზიდენტის იმპიჩმენტზე კენჭისყრა მოხდება ოლიმპიადის დროს

ბრაზილიის სენატმა ქვეყნის პრეზიდენტის დილმე რუსეფის იმპიჩმენტის შესახებ საკითხის კენჭისყრა დაგეგმა 20 აგვისტოსათვის – რიო-დე ჟანეიროში ოლიმპიადის დამთავრების წინა დღით. ეჭვი აქვთ, რომ პრეზიდენტი მონაწილეობას ღებულობდა საბაჟო კანონმდებლობის დარღვევასა და ფულის გამოყენებაში საკუთარი საარჩევნო კამპანიისათვის.

### ტერორისტი, რომელმაც მოაწყო აფეთქება სტამბოლის აეროპორტში, შეიძლება ჩეჩნეთიდან ყოფილიყო

მისი მონაცემებით, ეს კაცი ჩავიდა თურქეთის ტერიტორიაზე სირიის ქალაქ რაკიდან, რომელიც ხელში ჩაიგდო ისლამური სახელმწიფოს ტერორისტულმა დაჯგუფებამ.

### ეროვნული უშიშროების კომიტეტი: ყაზახეთში დაკავებული ტერორისტები სალაფიტები არიან, მაგრამ დაკავშირებული არ არიან ინციდენტთან აქტობეში

„ექვსი კაცი დააკავეს, ერთმა თავი აიფეთქა“, – განაცხადა რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელმა ვლადიმირ ჟუმარკანოვმა. მისი სიტყვებით, ყველა რადიკალი ადგილობრივი მცხოვრები, ყაზახეთის მოქალაქეა, რომლებიც ისლამის სალაფიტურ მიმდევრობას უჭერენ მხარს.

### აშშ-მა დაბომბა ისლამური სახელმწიფოს ბადრაგი ერაყში: ასობით ექსტრემისტი მოკლულია

საავტომობილო ბადრაგს შეუტიეს ქალაქ ელ-ფალუჯის სამხრეთიდან, რომელიც გასულ კვირას გადავიდა სამთავრობო ჯარების კონტროლქვეშ. წინასწარი მონაცემებით, შედეგად მოკლეს მინიმუმ 250 ბოევიკი და გაანადგურეს დაახლოებით 20 ავტომობილი.



# აიკრა გუდა-ნაბადი და... წავიდა

## ისრაელის გაკვეთილები საქართველოსთვის

**საქართველო და ისრაელი — ეს არის ორი უძველესი ბიბლიური ქვეყანა, რომელთაც, აგერ უკვე 26 საუკუნეა ერთმანეთთან მეგობრობის და პატივისცემის, თანასწორი ურთიერთობების უიშვიათესი ტრადიციები აქვთ.**

ამ ორი ერის ურთიერთობა განსაკუთრებით საყურადღებოა დღევანდელი აშლილი და აწეწილი მსოფლიოსთვის, მათ შორის წამყვანი და დიდი ერებისთვისაც.

**„საქართველო — ეს არის თანამედროვეობის უდიდესი სასწაული, რომლის შედარებაც შეიძლება მხოლოდ ისრაელთან. ის არის არა მხოლოდ ძველი, არამედ ცოცხალი ცივილიზაციაც. შეხედეთ ათენსა და რომს. მათ წარსულს არავითარი კავშირი არა აქვს თანამედროვეობასთან, საქართველოში კი ყველაფერი ძველი აგრძელებს სიცოცხლეს დღევანდელობაში“,** — წერს ცნობილი ებრაელი მეცნიერი და თეოლოგი ავიგდორ ესკინი.

თანამედროვე ისრაელის სახელმწიფო იშვა 1948 წელს, როცა გაეროს დადგენილებით მათ გამოეყოთ 14 ათასი კვ. კმ. ფართობი ყოფილი პალესტინის ტერიტორიიდან (ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში ლომის წილი მიუძღვის იოსებ სტალინს, რომელმაც დასავლეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, შეძლო თავისი გაეტანა და შეექმნა პატარა ქვეყანა).

სულ რაღაც 68 წლის განმავლობაში ისრაელი პაწაწინა სახელმწიფოდან ერის მონდომების წყალობით, გადაიქცა ქვეყნად, რომლის მოსახლეობა (6 მილიონზე მეტი) რვაჯერ აღემატება 1948 წელს არსებულ რაოდენობას, გადაიქცა უძლიერეს ქვეყნად, რომელიც დომინირებს არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ ძალზე დიდი გავლენა აქვს მთელს მსოფლიოში, რამეთუ მსოფლიო ფინანსების 75%-ს დღეს ებრაელები ფლობენ.

ამჟამად ისრაელს ახლო აღმოსავლეთში წამყვანი პოზიცია უკავია ეკონომიკურ, სამხედრო, ტექნოლოგიურ და კულტურულ სფეროში.

მეტად საყურადღებოა მისი გამოცდილება მრეწველობის განვითარების საქმეში. ისრაელს არც საკუთარი ბუნებრივი რესურსები გააჩნდა, არც მრეწველობის განვითარების საბაზო დარგები. გეოპოლიტიკური და სამხედრო სირთულეების გამო მას არ შეეძლო, გაეტარებინა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა ევროპის და ჩრდილო ამერიკის მოდელების მიხედვით. ისრაელის ყოფილი პრეზიდენტი ეიზერ ვაიცმანი მიუთითებდა, რომ **„ჩვენ, ისრაელმა, ფული და კაპიტალი ჩავდეთ ადამიანთა ტვინებში (ანუ განათლების სფეროში) იმიტომ რომ სხვა არაფერი რესურსი არ გაგვაჩნდა“.**

ისრაელი გარშემორტყმულია მტრულად განწყობილი 20-ზე მეტი ქვეყნით, რომლებმაც ამ 68 წლის განმავლობაში 7 ომი გააჩაღეს ისრაელის წინააღმდეგ, მაგრამ ყველა წააგეს. საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფის აუცილებლობა ისრაელს აიძულებს როგორც ეროვნული პროდუქტის, ისე შრომისუნარიანი მოსახლეობის ყველაზე ახალგაზრდული და შემძლე ნაწილით უზრუნველყოს თავდაცვა. ქვეყნის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის შემოსავლებიდან 10-15 % თავდაცვის ფონდს ხმარდება. ეს დასავლეთის უმრავლესი ქვეყნებისთვის 3-5 %-ია (სომხეთისთვის 9%-ია, საქართველოსთვის 6%).

68 წლის განმავლობაში ისრაელმა მსოფლიოს 120 ქვეყნიდან ჩამოსული 5 მილიონამდე ადამიანი (მათ შორის სსრ კავშირიდან ჩასული 1,5 მილიონი ებრაელი) მიიღო.

საკუთარი ქვეყნის უზომოდ მოყვარულ და საქმიან ებრაელებს მცხუნვარე მზის ქვეშ გაჰყავდათ გზები, აგებდნენ ხიდებს, სანაპიროებს, პორტებს, ქარხნებს, საცხოვრებელ ბინებს, აშენებდნენ პლანტაციებს. სწორედ ამგვარმა თავჩაუხრელმა შრომამ აქცია ისრაელი აგრარული ქვეყნიდან სამრეწველო წარმოების და სამეცნიერო აზრის განვითარებულ სახელმწიფოდ, რომელსაც ჰქონდა მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრია, აგრეთვე თანამედროვე კვების მრეწველობა და ალმასის დამუშავების ერთ-ერთი მსოფლიო ცენტრი. ისრაელის ხვედრით წილად მოდის მსოფლიო საიუველირო ალმასის წარმოების 40%. შედარებისთვის — რუსეთში ალმასის დამუშავების მრეწველობაში დასაქმებულია 2-ჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე ისრაელში, სასაქონლო პროდუქცია კი იწარმოება 8-ჯერ ნაკლები, ვიდრე ისრაელში.

ისრაელის სოფლის მეურნეობა გამოირჩევა მაღალი ინტენსიურობით, მოწინავე აგრონომიით და მელიორაციით. პირდაპირ გამაოგნებელია: იერუსალიმი, მისი შემოგარენი და თითქმის ყველა მიმდებარე ადგილი კლდოვანია, ქვიშიანი და მაინც სოფლის მეურნეობის პროდუქტების საოცარი სიუხვეა. მოსავალი 2—ჯერ მოჰყავთ და ხრიოკზე სიცოცხლეს ქმნიან მოწინავე ტექნოლოგიების („ჰაი—ტექი“) წყალობით.

მაშინ როცა ისრაელში ფაქტობრივად წყალი არ არის (ამასვე ადასტურებს ისრაელის 92 წლის პრეზიდენტი შიმონ პერესი, რომელმაც კიევში გამოსვლისას თქვა, რომ „წყალს ჩვეულებრივად პოულობენ, არ მოიპოვებენ ჩვენ კი მისი მოპოვება დავიწყეთ, მერე კი წყლის გამტკნარებაც ვისწავლეთ“), ცხელი წყალი ყველას აქვს. მზის ბატარეები ცვლის ჰიდროელექტროსადგურებს და ატომურ ელექტროსადგურებს. ზაფხულობით 4-თვიანი გვალვაა და მაინც სარწყავი მილების წყალობით, ყველაფერი ჰყვავის. მთებში მიწის ქვეშ ტბებია, საიდანაც წყალი უდაბნოში მოჰყავთ. წვიმის წყალსაც კი არ ჰკარგავენ — რეზერვუარებში აგროვებენ. ყოველი ხის, ყოველი ყვავილის ახლოს სარწყავი მილია გაყვანილი. ეს არის წვეთოვანი რწყვის მეთოდი, რომელსაც ისრაელში დიდი ხანია, იყენებენ. იგი მცენარეს, ხეს იმდენ წყალს აწვდის, რამდენიც ესაჭიროება, რათა წალკოტში არათუ გამხმარი, არამედ უწყლობისაგან შეყვითლებული ფოთოლიც არსად გაერიოს. ისრაელში სოფლის მეურნეობის ერთი მუშაკი ქვეყნის 82 მოქალაქეს უზრუნველყოფს პროდუქტებით. რუსეთში ერთი ძროხის წველადობა წელიწადში 3 ათას ლიტრს შეადგენს, ისრაელში კი — 10 ათას ლიტრს.

მშენებლობა, ფართო საყოფაცხოვრებო ინდუსტრია, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო საოპერაციო მედიცინა, მრავალპროფილიანი უმაღლესი განათლება, კომპიუტერიზებული საბანკო სისტემა და მოსახლეობის სერვისის სხვა სახეობანი ისრაელის ეკონომიკის ბირთვია. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ „ჰაი-ტექის“ (მაღალი ტექნოლოგიების) სფერო, რომელშიც ისრაელი ასევე მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერია. „ჰაი-ტექ“-ის საწარმოთა ხვედრითი წილი ისრაელის ექსპორტში 80%-მდეა. არმიაში გაწვეული ახალგაზრდები ცდილობენ, იმსახურონ სრულიად საარმიო კომპიუტერულ ცენტრ „მამრან“—ში, რომლის კურსდამთავრებულების თვიური ხელფასი 7 ათასი დოლარია და 4-ჯერ აღემატება საშუალო სასტარტო ხელფასს და მაინც ისრაელში არ ჰყოფნით 5 ათასზე მეტი სპეციალისტი „ჰაი-ტექ“-ის სფეროში.

**ისრაელში თავდაცვა იდეოლოგიურად უმაღლეს დონეზეა აყვანილი. ისრაელს აქვს ატომური და წყალბადის ბომბი, უმაღლესი სიზუსტის რაკეტები, რომლებიც მტრის რაკეტებს ჰაერში ანადგურებენ, ჰყავს უძლიერესი დაზვერვის სამსახური „მოსადი“. ქვეყნის თავდაცვა არა მარტო კაცების, არამედ ქალების მოვალეობაცაა. არმიაში ყველა მსახურობს. არც ერთი თავმოყვარე გოგონა არ გაივლის იმ ბიჭის გვერდით, ვინც ჯარში ნამყოფი არაა.**

**„ჩვენ არც ხალხი გვყავდა და არც იარაღი გვქონდა,** — ამბობს შიმონ პერესი, **არც გენერლები გვყავდა და არც საბრძოლო გამოცდილება გვქონდა. რა უნდა გვექნა? ადამიანები უნდა გამხდარიყვნენ მამაცები და უშიშარნი. მათ უნდა გაეგოთ, რომ ჩვენ არჩევანი არა გვაქვს. „ჩვენ მხოლოდ უნდა გავიმარჯოთ. ჩვენ ერთხელაც რომ დავმარცხდეთ, მორჩა. მეორე, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ იარაღი არ გვქონდა, მისი წარმოება დავიწყეთ, განვავითარეთ თავდაცვის სექტორი, რომელიც მუშაობდა არმიაზე, რადგან ვიყავით მარტო და თანაც მტრულ გარემოში. სწორედ ამის წყალობით გაიმარჯვა ისრაელმა ყველა ომში არაბთა წინააღმდეგ და ტერიტორია 5-ჯერ გააფართოვა“.**

**პერესის აზრით, პოტენციალი ადამიანებს დიდი აქვთ, მაგრამ ისინი ზარმაცები არიან. თუ რაიმეს მიღწევა გინდათ, ბევრი უნდა იმუშაოთ, ციდან არაფერი ცვივა. ჩვენ, ისრაელში ძალიან ბევრს ვმუშაობდით, რა არის ამაში ცუდი... უნდა გაჰყვეთ მეცნიერებას, რომელსაც არა აქვს საზღვარი, შეზღუდვა და რეფლექსები. წარსული იცოდეთ, რათა წარსულის შეცდომები არ გაიმეოროთ... იოცნებეთ რაღაც ძალიან დიდზე, რაც უფრო დიდი იქნება თქვენი ოცნება, მით უფრო დიდს მიაღწევთ... თუ თქვენი ოცნებები უფრო მეტია, ვიდრე თქვენი მიღწევები, ეს ნიშნავს რომ თქვენ ახალგაზრდა ხართ“.**

ცალკე აღნიშვნის ღირსია „ქართველი ებრაელის ფენომენი“. ასეთი რამ სხვა ერმა არ იცის. ქართველ ებრაელთა ფენომენის ერთ-ერთ კონკრეტული გამოვლენაა ის ფაქტი, რომ ქართულ მიწაზე 26-საუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე „არსად არ თქმულა და არ გაგონილა, რომ ოდესმე ქართველ ურიას საქართველოსთვის ეღალატოს და რაიმე ცნობები სხვა სახელმწიფო მტერთათვის გადაეცათ, თუმცა ამის შემთხვევა მათ ხშირად მიეცემოდათ“ (ზაქარია ჭიჭინაძე).

„ეს მოხდა რომში — წერს ისტორიკოსი და მიმომხილველი აბონ ციციაშვილი თავის 800-გვერდიან წიგნში „ებრაელები და საქართველო“ — ქართველებს მაღაზიაში შემთხვევით კაოლინის თიხის ძალზე ძვირადღირებული ნივთი გაუტყდათ. მაღაზიის კარი იმწამსვე დაიკეტა. მეპატრონემ ქართველებს ნივთის საფასურის ანაზღაურება მოსთხოვა. მათ საკმარისი თანხა არ აღმოაჩნდათ. იქვე შემთხვევით მყოფმა უცნობმა ყური მოჰკრა ქართულ საუბარს, იხმო მეპატრონე. „რამდენია გადასახადიო“ — ჰკითხა. 3800 დოლარიო, უპასუხა მეპატრონემ. უცნობმა ეს თანხა გადაუთვალა, შემდეგ მოუბრუნდა ქართველებს და ქართულად უთხრა: თქვენი ჭირიც წაუღიაო, ძმებო, თან აღნიშნა, თბილისში დაბადებული ქართველი ებრაელი ვარო, არც გვარი უთხრა, არც სახელი და სიყვარულით გამოემშვიდობა“.

ქართველმა ებრაელებმა ისრაელში დადგეს შოთა რუსთაველის ძეგლი და დააარსეს მისი ქუჩა, ასევე, თბილისის მოედანი, ლაპარაკობენ, მღერიან და ტირიან ქართულად, ცეკვავენ ქართულად, ზრდიან შვილებს ქართული ტრადიციებით.

**„ერთადერთი ერი — სტუმარი, — წერს აბონ ციციაშვილი, რომელმაც საუკუნეები იცხოვრა საქართველოს ტერიტორიაზე თავისი უბედური ბედის გამო და რომელსაც არასოდეს არ უთქვამს, ეს მიწა ჩემია, ან განსაკუთრებული უფლებები მომეცით, ებრაელი ერია, მის სამშობლოსაც გაუღიმა ბედმა, აიკრა გუდა-ნაბადი, მადლობა გადაუხადა ქართველ ხალხს გაწეული შრომისათვის, ერთ ჭერ-ქვეშ ცხოვრებისათვის და წავიდა.**

**სხვები? — ამაზე არც ფიქრობენ“.**

**ვაჟა შუბითიძე**

## მრეწველები საარჩევნოდ თანამოაზრეებს ეძებენ

პარლამენტარი, მრეწველთა პარტიის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე არ გამორიცხავს, რომ მრეწველები რომელიმე სხვა პარტიასთან ერთ ბლოკში გაერთიანდნენ. პრესკონფერენციაზე ტყემალაძემ აღნიშნა, ამ ეტაპზე კონსულტაციებიც მიმდინარეობს, თუმცა დეტალების დასახელებისგან თავი შეიკავა.

**„ივლისის შუა რიცხვებში პრეზენტაციას ვგეგმავთ, სადაც ყველაფერი ცნობილი გახდება. შეიძლება გარკვეული ბლოკიც ჩამოყალიბდეს, თუმცა ბევრ რამეზეა ეს დამოკიდებული. არა მხოლოდ სურვილზე და იდეოლოგიაზე, ვინ როგორ თავსდება ერთიან ინტერესებში და ასე შემდეგ. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე კონსულტაციებიც მიმდინარეობს. რაც შეეხება მაჟორიტარებს, მათ დაყენებასაც ვაპირებთ. დამოუკიდებლად თუ გამოვედით, ყველგან დავაყენებთ და თუ არ გამოვედით დამოუკიდებლად, მით უმეტეს ყველგან დავაყენებთ“,** — განაცხადა ტყემალაძე.

## ტერაქტის პირველი დღიდან მტკიცე მხარდაჭერა ვიგრძენი

თბილისში და ბათუმში თურქეთის საელჩოში სამძიმრის წიგნი გაიხსნა, რომელშიც პოლიტიკოსები და რიგითი ადამიანები ჩანაწერს ტოვებენ. საქართველოში თურქეთის ელჩმა ზექი ლევენთ გუმრუქჩუმ განაცხადა, ის მადლიერია ქართველი ხალხის თანადგომისთვის.

**„ამ ტრაგიკულმა ფაქტმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ტერორიზმს არ აქვს საზღვრები. ის მიმართულია არა რომელიმე ერთი ქვეყნის, არამედ მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ. ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლობა და სოლიდარობა. ვფიქრობ, ძალიან გამიმართლა, რადგან ტერაქტის პირველი დღიდან ძალიან მტკიცე მხარდაჭერა და თანადგომა ვიგრძენი ქართველებისგან. დღეს, დილიდან ვიღებთ სამძიმარს როგორც საქართველოს ხელისუფლების, ასევე მოქალაქეების მხრიდან და ჩვენ ძალიან მადლიერი ვართ ქართველი საზოგადოების ამ მტკიცე მხარდაჭერისთვის“,** —განაცხადა თურქეთის ელჩმა.

## ჭადრაკი

# სწრაფად და ელვისებურად



**თბილისის ჭადრაკის სასახლეში ქალთა რაპიდში (სწრაფი ჭადრაკი) საქართველოს გრან-პრის მეორე ეტაპი გათამაშდა. შეჯიბრებაში 19 მანდილოსანი მონაწილეობდა. ცხრა შესაძლებლიდან 7.5 ქულით პირველი ადგილი დიდოსტატმა მაია ლომინეიშვილმა დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ალექსანდრა ვახანია, ხოლო 6.5 ქულით მესამე იყო დიდოსტატი ინგა ჭარხალაშვილი.**

ბლიცში (ელვისებური ჭადრაკი) ცხრა შესაძლებლიდან 8-8 ქულით პირველი-მეორე ადგილები ინგა ჭარხალაშვილმა და მაია ლომინეიშვილმა (უკეთესი კოეფიციენტით პირველი ადგილი ჭარხალაშვილს ხვდა) გაიყვეს, 7.5 ქულით მესამე ადგილზე კი მერი არაბიძე გავიდა.

**გოჩა ხვიჩია**

**სურათზე:** მარცხნიდან — მერი არაბიძე, მაია ლომინეიშვილი, ინგა ჭარხალაშვილი.

## ჭიდაობა

# მედლებიც, ფულადი პრიზებიც



**ვანაძორში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა სტეპან სარგსიანის საერთაშორისო თასი გათამაშდა, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელები — დავით პოღოსიანი და ალექსანდრე კახნიაშვილი) სათადარიგო შემადგენლობით იასპარეზა.** ჩვენმა ფალავნებმა შეჯიბრებაზე ხუთი მედალი მოიპოვეს: 61 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლაშა ლომთაძემ ოთხ მეტოქეს სძლია, გადამწყვეტი ორთაბრძოლა კი ახმედ ჩაკაევთან (რუსეთი) დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა, ხოლო ბექა ლომთაძეს (61), ჯუმბერ ყველაშვილს (74), ომარ გუსოშვილსა (97) და გიორგი მეშვილდიშვილს (125) ბრინჯაოს მედლები ერგოთ. ტურნირის გამარჯვებულები 3000, მეორე პრიზიორები 2000, მესამეადგილოსნები 1000 დოლარით დააჯილდოვეს.

**ვაჟა ნოსირელი**

## რაგბი

# მილტონ ჰეიგს - „სპორტის რაინდის“ წოდება

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ამას წინათ სამი საზაფხულო ტესტი გამართა სტუმრად: სამოას დაუზავდა — 19:19, ხოლო ტონგას (23:20) და ფიჯის (14:3) აჯობა. საგულისხმოა, რომ „ბორჯღალოსნებმა“ ზედიზედ ცხრა შეხვედრა წაუგებლად ჩაატარეს და მსოფლიო რეიტინგში აქამდე უპრეცედენტო მე-11 ადგილზე აღზევდნენ. ამ წარმატების აღსანიშნავად ჩვენი ნაკრების თავკაც მილტონ ჰეიგს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა სპორტის რაინდის წოდება მიანიჭა.**

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალისას აღინიშნა, რომ საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით საქართველოში აშენდა სარაგბო ბაზები და სტადიონები: თბილისში — „ლელო არენა“ (5 640 000 ლარი), „შევარდენის სანაკრებო ბაზა“ (7 433 000 ლარი), მოეწყო ავჭალის სარაგბო სტადიონი (5 521 000 ლარი), ვარკეთილის სარაგბო სკოლაში (შუამთის ქუჩა) მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მოედანი (400 000 ლარი), ნუცუბიძის პლატოზე დაიწყო სარაგბო ბაზის მშენებლობა (4 300 000 ლარი), ფოთში აშენდა სარაგბო ბაზა „პარკი არენა“ (7 380 000 ლარი), რუსთავში — სარაგბო სტადიონი (7 578 000 ლარი), ქუთაისში — „აია არენა“ (11 460 000 ლარი), მიმდინარეობს სასტუმროს მშენებლობა (3 800 000 ლარი), აშენდება რაგბის აკადემია (3 800 000 ლარი), აშენდა მარტყოფის სარაგბო ბაზა (3 452 000 ლარი), მიმდინარეობს სასტუმროს მშენებლობა (750 000 ლარი), დასასრულს უახლოვდება გორის სარაგბო ბაზის მშენებლობა (5 900 000 ლარი), გაისად დასრულდება ბათუმის სარაგბო ბაზა (7 700 000 ლარი), თელავში დაიწყო ორმოედნიანი კომპლექსის მშენებლობა (5 500 000 ლარი), ასპინძაში — სარაგბო ბაზისა (3 240 000 ლარი).



**გელა ნანაძე**

## ძიუდო

# ქართული დესანტი ვანტააში

**ფინეთის ქალაქი ვანტაა 1-3 ივლისს კადეტ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოს ვაჟთა და გოგონათა ნაკრები გუნდები ტურნირზე ასეთი შემადგენლობებით გაემგზავრნენ: ვაჟები.** ოთარ ტალახაშვილი (55 კგ), საბა გრიგალაშვილი (60), ალეკო მამიაშვილი (66), ტატო გრიგალაშვილი, ბაჩანა სარქისაშვილი (73), სოსო ებელაშვილი, გოჩა ღვაჩლიანი (81), გიორგი ჩიქოვანი (90), გელა ზაალიშვილი (+90). **მწვრთნელები:** ირაკლი ცირეკიძე, გიორგი ყიზილაშვილი, გიორგი რევაზიშვილი. **გოგონები.** ნატალია ყიფშიძე (48), ნინო მგელაძე (52), ეთერ ლიპარტელიანი, თინათინ რევაზიშვილი (57), მარიამ ჭანტურია (63), სალომე მჭედლიშვილი (70), სოფიო სომხიშვილი, მარიამ ცერცვაძე (+70), **მწვრთნელები:** გიორგი თენაძე და კახაბერ მოცრაძე.



**შეჯიბრებები გაიმართება:**

**1 ივლისს: გოგონები.** 40კგ, 44კგ, 48კგ, 52კგ; **ვაჟები.** 50კგ, 55კგ, 60კგ, 66კგ.

**2 ივლისს: გოგონები.** 57კგ, 63კგ, 70კგ, +70კგ; **ვაჟები:** 73კგ, 81კგ, 90კგ, +90კგ.

**3 ივლისს:** გუნდური შეხვედრები.

**ლექსო ცინცაძე**

## ჰოკეი

# რევანში ანკარაში



**წლეულს გაზაფხულზე საქართველოს ჰოკეისტთა ნაკრებმა სტამბოლში მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონში ოთხ ნაკრებს აჯობა:** ბოსნია-ჰერცეგოვინას (8:0), სამხრეთ აფრიკას (6:5), ლუქსემბურგს (5:0), ჰონგ კონგს (14:3) და მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმო მასპინძლებთან — 4:5. საქართველოს ჰოკეისტებმა რევანში აიღეს თურქეთის დედაქალაქში „ანკარის თასზე“ გამართულ შეჯიბრებაში, რომელიც ყინულის ახალი მოედნის გახსნას მიეძღვნა. ტურნირში 3 ნაკრები მონაწილეობდა — თურქეთი, საქართველო და ბოსნია-ჰერცეგოვინა. ჩვენებმა ორივე მეტოქეს დამაჯერებლად სძლიეს — ჯერ ბოსნიელებს მოუგეს 14:2, შემდეგ მასპინძლები დაამარცხეს 8:1 და მთავარი პრიზი მოიპოვეს.

**თამაზ პატარიძე**

## წყალხტომა

# რიეკაში - ორი სპორტსმენით

**დღეს ხორვატულ რიეკაში ახალგაზრდა წყალმხტომელთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყება. შეჯიბრებაში ორი ქართველი სპორტსმენიც ჩაებმება — თორნიკე ონიკაშვილი და თამარ სიჭინავა.** ამ ტურნირამდე ორიოდე დღით ადრე სიჭინავამ ავსტრიულ გრაცში წყალმხტომელთა მე-19 საერთაშორისო ტურნირში სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 384 ქულით (პირადი რეკორდი) ოქროს მედალი დაიმსახურა.

**ნატა ნიბლაძე**



## ბატუტზე ხტომა

# „ბრინჯაომდე“ 0.22 ქულა დააკლდა

**იტალიასა და შვეიცარიაში დამთავრდა ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს თასის გათამაშების ორ ეტაპი. შეჯიბრებებში საქართველოს ექვსი წარმომადგენელი მონაწილეობდა:** რიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიატი ლუბა გოლოვინა, თამარ კაკაშვილი, ნანა გოგაშვილი, ანა ოდიშვილი, თეონა ჯანჯღავა და თენგიზ კოშკაძე. იტალიურ ბრეშაში სინქრონულ ხტომებში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონებმა — ანა ოდიშვილმა და თეონა ჯანჯღავამ, რომლებისთვისაც მსოფლიოს თასზე გამოსვლა დებიუტი იყო, მე-6 ადგილი დაიკავეს. თენგიზ კოშკაძე ფინალში მეოთხე შედეგით მოხვდა. გადამწყვეტი ორთაბრძოლებისას მან პროგრამა ზედმიწევნით კარგად შეასრულა, მაგრამ ბატუტზე დახტომისას დამცავ ლეიბს შეეხო და საბოლოოდ მე-7 ადგილს დასჯერდა.



შვეიცარიულ აროსაში ლუბა გოლოვინამ ფინალში 52.975 ქულით მე-4 ადგილი დაიკავა — ბრინჯაოს პრიზიორ სუსანა კოჩესოკს (რუსეთი) მხოლოდ 0.22 ქულით ჩამორჩა. პირველი-მეორე ადგილები ოლიმპიურმა ჩემპიონმა როსანა მაკლანენმა (კანადა, 56.660 ქულა) და ჟუ ქსუინმა (ჩინეთი, 55.240) გაინაწილეს. ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს მეორე პრიზიორებმა — თამარ კაკაშვილმა და ნანა გოგაშვილმა აროსაში სინქრონული ხტომების ფინალში ბრინჯაოსმედალოსან იაპონელებთან (ნაკანო რანა, ჰიკარუ მორი — 45.900) 0.5 ქულა წააგეს და მე-4 ადგილს დაყაბულდნენ. მათ პირველად შეასრულეს ახალი ვარჯიში, რომელშიც 9.7 ქულა დაიმსახურეს. აქ რუსებმა (სუსანა კოჩესოკი, ანა კორნეტსკაია — 47.200) გაიმარჯვეს, ხოლო ჩინელებს (ჟუ ქსუინი, ლი მენი — 46.300) მეორე ადგილი ხვდათ.

ქართველი ბატუტზე მხტომელები (მთავარი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი) ახლა ბათუმში ერთკვირიან საწვრთნელ შეკრებას გადიან, მერე კი 9-12 ივლისს პორტუგალიაში მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე იასპარეზებენ.

**გივი გაგუა**

## ფარიკაობა

# ლიცენზიატი პოზიციებს არ თმობს

**ქუთაისელმა მოხმალავე სანდრო ბაზაძემ წლეულს გაზაფხულზე რიოს ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა, მერე მესამედ მოიგო ახალგაზრდებში ევროპის პირველობა, ერთი კვირის წინათ უფროსებში ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებულ რუს იაკიმენკოსთან ორთაბრძოლა ერთი ჩხვლეტით დათმო (14:15) და მეხუთე ადგილს დასჯერდა, ახლა კი საქართველოს მოფარიკავეთა ეროვნულ ჩემპიონატში ისახელა თავი.** ამ შეჯიბრებას ოლიმპიური ჩემპიონის — ნუგზარ ასათიანის სახელობის ფარიკაობის დარბაზმა უმასპინძლა. სანდრომ ფინალში ძმას — 23-წლამდელებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორ ბექა ბაზაძეს აჯობა — 15:13 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.



**კვარცხლბეკი**

**ხმალი**

